# თავისუფალი საქართველო

N45

17 - 23 დეკემბერი

1996 წელი

ფასი 50 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეშევრდომს ზოგჯერ ტყუილადაც წაუთაქებენ

**საბჭოთა კავშირის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორის, სელეზნიოვის ვიზიტი საქართველოს ხელისუფალს მომავალი უღირსი კომპრომისების გამართლების საშუალებას მისცემს**

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავება საქართველოში გ. სელეზნიოვის ვიზიტითა და პარლამენტში გამოსვლით დაგვირგვინდა. რუსი პოლიტიკოსის სტუმრობით, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ საბჭოთა კავშირის აღდგენის ინიციატორთა შორის მოგვევლინა, კიდევ ერთხელ გამოვლინდა რუსეთისა და საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ერთობლივი, აბსოლუტურად გაცნობიერებული სწრაფვა ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი სუვერენიტეტის ეტაპობრივი რღვევისკენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის დუმის სპიკერის ვიზიტს წინ უსწრებდა ფართო მოსამზადებელი სამუშაო, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესების პროპაგანდასა და "კონსტრუქციულ დემარშებში" გამოიხატებოდა. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ დროა დაასრულოს ეს, თავისივე ხელდასმით წამოწყებული, იაფფასიანი პროპაგანდა (რომელიც გულუბრყვილოებს მმართველი რეჟიმის მესვეურთა უეცარ გაპატრიოტებასაც აფიქრებინებს) და დასავლურ-კავკასიური ინიციატივებით კეკლუცობაში გართულ ქვეშევრდომებს კიდევ ერთხელ შაეხსენოს "ვისი გორისანი" არიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ამგვარი მისია "რეაქციული" რუსეთის წარმომადგენელს დააკისრა. ეს საქართველოს ხელისუფალს მომავალი უღირსი კომპრომისების გამართლების საშუალებასაც მისცემს და იმის საფუძველსაც მოუმზადებს, რომ პროპაგანდა გაუწიოს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ "კვლავინდებურ კეთილგანწყობას".

სელეზნიოვმაც თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა სწორედ იმ სფეროებზე, სადაც ქართველ ხელისუფალთა "ნაციონალისტურ-პატრიოტული" აფეთქების საფრთხე იგრძნობა. პირველი საკითხი, რაც სტუმარმა მკაცრად დააყენა, გახლდათ ნატო-ს გაფართოებისადმი დამოკიდებულება: რუსეთს, თურმე, არ მოეწონა საქართველოს "გააქტიურება" ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის მიმართულებით.

მეორე დირექტივა კავკასიას შეეხებოდა. შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული იდეა "ერთიანი კავკასიის" შექმნის შესახებ, მართალია, სავსებით თავსდება რუსეთის ინტერესების ჩარჩოში, მაგრამ ქვეშევრდომისა და მმართველის ურთიერთობის ოდინდელი წესის თანახმად, ზოგჯერ ხელქვეითს ტყუილადაც უნდა წაუთაქო-ხოლმე. სელეზნიოვმა საკმაოდ მკვახე და მტკიცე ტონით განაცხადა - "კავკასიასა და რუსეთს შორის განხეთქილების ჩამოგდების ნებისმიერი მცდელობა ყველა ჩვენგანს დიდ უბედურებად შემოუბრუნდება".

სელეზნიოვმა კიდევ ერთხელ შეახსენა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფალთ, რომ საქართველო და რუსეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან - აქ იგი, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების საკითხს გულისხმობდა. ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის სანაცვლოდ, "პარტნიორი" საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას დაგვპირდა. ასე რომ, ალბათ, უახლოეს მომავალში აღებ-მიცემობის ობიექტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი არა, აღნიშნული ხელშეკრულება იქნება.

სელეზნიოვმა გარკვეულ ძალებს (ალბათ, "რეაქციულ საქართველოს") ანტირუსული განწყობის გამო უსაყვედურა. საგანგებოდ შეეხო იგი აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედებას და დელიკატურად შეგვახსენა: ეს ჯარები საქართველოს ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით ჩადგა კონფლიქტის ზონაში და თანაც მას შემდეგ, რაც ამგვარ მისიაზე დსთ-ს სხვა ქვეყნებმა და გაერო-ს უშიშროების საბჭომ უარი განაცხადაო. სელეზნიოვის აზრით, სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში მანდატის მკაცრი დაცვით მოქმედებენ.

ასე რომ, რუსეთის დუმის სპიკერის გამოსვლა შეეხო ყველა იმ სფეროს, რომელშიც საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების მხრიდან ამ ბოლო ხანებში "მერყეობა" შეინიშნება.

სელეზნიოვის გამოსვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართველ პოლიტიკოსთა შორის. ახლად გადანათლულმა ფრაქციამ, მ. გიორგაძის თავმჯდომარეობით, რუსი სტუმრის გამოსვლა საქართველოს შეურაცხყოფად გამოაცხადა და დარბაზი დატოვა. "ჩვენ ტაში დავუკარით სტრატეგიული ინტერესების წინააღმდეგ გამოსვლას". - განაცხადა გიორგაძემ, რომელმაც ამ აქციით, ალბათ, საბოლოოდ მოიპოვა "დესტრუქციული ელემენტის" სახელი.

საერთოდ, სელეზნიოვის გამოსვლის შემდეგ ტაშის დაკვრის თემა ფრიად აქტუალური გახდა. მმართველი რეჟიმის მესვეურები, რომელთა მხარდამჭერებსაც სჩვევიათ მსგავს სიტუაციაში უადგილო ემოციების გამოხატვა და მერე თავის მართლება, ახლა ამ ტაშის მოტივაციაზე ზრუნავენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო გამოსავალი იპოვა ი. სარიშვილმა: "ჩვენ ტაში, პრაქტიკულად, ზ. ჟვანიას რეპლიკას დავუკარით. სამწუხაროდ, პროტოკოლით მხოლოდ მას ჰქონდა რეპლიკის უფლება". პროტოკოლის მორჩილმა პოლიტიკოს-ქალბატონმა და მისმა ფრაქციამ ამ სიტუაციაში ჩვეული "კონსტრუქციულობა" გამოიჩინეს და მხარი არ აუბეს "რადიკალურ ოპოზიციად" ჩამოყალიბებულ ყოფილ თანამებრძოლებს. "სელეზნიოვის დღევანდელი გამოსვლა იყო ის, რასაც რუსეთი სინამდვილეში აკეთებს". - განაცხადა სარიშვილმა, რითაც ეჭვქვეშ დააყენა თავისი ყოფილი თანაპარტიელების აქციის მიზანშეწონილობა. აქაოდა, ჩვენ იმდენად გაწონასწორებულები ვართ, ასეთი რამეები არ გვიკვირს და, გიორგაძისგან განსხვავებით, სიმშვიდის შენარჩუნებაც შეგვიძლია მამულის საკეთილდღეოდ და "მუდამ კონსტრუქციული" გ. ჭანტურიას იდეების უკვდავსაყოფადო. სარიშვილმა, რომელსაც ამ ბოლო დროს (ცნობილი მოვლენების შემდეგ) "საკუთარი შენობის", "კუთვნილი ფართის" დაკარგვისადმი განსაკუთრებული შიში დაეუფლა, ფრიად საინტერესო და კურიოზული ახსნა მოუძებნა დარბაზში დარჩენას - იმიტომ არ გავედით გარეთ და იმიტომ ვუსმენდით მორჩილად სელეზნიოვის შეურაცხმყოფელ გამოსვლას, რომ "ეს დარბაზი ჩვენია და საკუთარი დარბაზიდან, თუნდაც დაუპატიჟებელი სტუმრის გამო, არ გავალთ"... "კონსტრუქციულმა ოპოზიციონერებმა" პროტესტი იმით გამოხატეს, რომ ყურსასმენები მოირგეს და მშობლიურ ენაზე მოუსმინეს სელეზნიოვს.

რაც შეეხება დარბაზის დატოვებას, ამბობენ, რომ ამის სურვილი კიდევ ბევრს გასჩენია - მაგალითად, ქ-ნ ე. თევდორაძეს, რომელსაც, როგორც ჩანს, "სათნო მოქალაქის" სტატუსი ჯერჯერობით ამგვარი დემარშების უფლებას არ აძლევს (იხ. "დილის გაზეთი", 13 დეკემბერი).

სელეზნიოვის ვიზიტმა პირველი შედეგი უკვე გამოიღო. საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ, რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ერთგულების ნიშნად, გადადგა მორიგი ნაბიჯი: შავი ზღვის ქვეყნების სამმიტზე საქართველოს დელეგაციამ მხარი არ დაუჭირა უკრაინას სევასტოპოლის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. როგორც ვხედავთ, ყოველგვარი სეპარატიზმის წინააღმდეგ ასე შემართებით "მებრძოლ" ხელისუფლებას, რუსეთის სიყვარულით, სულაც არ უჭირს რუსულ სეპარატიზმზე თვალის დახუჭვა... სელეზნიოვის მიერ ჩამოტანილ სხვა დირექტივებსაც, ალბათ, სათანადო რეაგირება მოჰყვება ქართველ მარიონეტთა მხრიდან.

...ჟვანია კი ისევ არ ცხრება. მან, თურმე, ვერაფერი გაუგო სელეზნიოვის გამოსვლას... სულ მალე რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატი იწურება... საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას კვლავ რუსებს უკავშირებს; რუსეთი სამხედრო ბაზების განლაგებას მოითხოვს; პრიმაკოვი იანვრის თვიდან ლტოლვილთა დაბრუნებას გვპირდება; ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით, რუსი მესაზღვრეები კეტავენ საქართველოს საზღვარს ლარსში... ნადარეიშვილი კვლავ ამრეზით უცქერის "მშვიდობიან მოლაპარაკებებს", აფხაზი სეპარატისტები კვლავ თავს ესხმიან და ხოცავენ ქართულ მოსახლეობას... ეს ყველაფერი არცთუ უხიფათოდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და საქართველოს ახალ განსაცდელს უმზადებს.

*ნუგზარ წიკლაური*

# არიან თუ არა პარტიზანები აფხაზეთში?

თამაზ ნადარეიშვილმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა წერილით მიმართეს გაერო-ს უშიშროების საბჭოსა და იმხანად ჯერ კიდევ გენერალური მდივნის პოსტზე მყოფ ბუტროს ბუტროს გალის. ესაა მათი საპასუხო წერილი აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს, ანუ კ. ოზგანის მიერ გაერო-ში გაგზავნილ წერილზე, სადაც ნათქვამია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე თამაზ ნადარეიშვილი და საქართველოს სპეცსამსახურები ახდენენ ტერორისტულ-დივერსიული აქტების ორგანიზებას და მოითხოვენ მათ აღსაკვეთად ზომების მიღებას.

საპასუხო წერილში აფხაზეთის დეპუტატები აცხადებენ, რომ ქართული მხარე არ ხელმძღვანელობს აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერორისტულ-დივერსიული აქტების ორგანიზებას და ეს მოქმედებები გაპირობებულია შიდაკლანური დაპირისპირებებით, რომელთაც ვერ აკონტროლებს სეპარატისტული რეჟიმი.

მეორე მხრივ კი, გაოცებას იწვევს ნადარეიშვილისა და აფხაზეთის დეპუტაციის მხრიდან ასეთი მკვეთრი გამიჯვნა აფხაზეთში ტერორისტული საქმიანობისგან, რომელსაც სულ ახლახან, სეპარატისტული არჩევნების პერიოდში, პარტიზანულ რაზმთა მოქმედებას უწოდებდნენ და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მათ პატრიოტულ შემართებაზე.

# გაწირული მოსახლეობა და გაწირული პარტიზანები

**ჩნდება ეჭვი, რომ ქართველი პარტიზანები აფხაზეთში არ არიან, მაგრამ თბილისში იმდენს იტრაბახებენ ამით, რომ ენგურსგადაღმა დარჩენილ ქართველებსაც ამოახოცინებენ**

10 დეკემბერს, გალის რაიონის სოფ. რეპში, არახამიების ოჯახში შეიჭრნენ შეიარაღებული სეპარატისტები და მოკლეს ოჯახის უფროსი და მისი ქალიშვილი, დაჭრეს ოჯახის ერთი წევრი, რომელიც მოგვიანებით გადმოყვანილ იქნა ზუგდიდის საავადმყოფოში. რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს არ მიუღიათ არავითარი ზომები ამ მკვლელობის აღსაკვეთად. თავად აფხაზების მხრიდან არის აზრი, რომ ეს თავდასხმები ხდება დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებული ტერაქტის საპასუხოდ, რომლის დროსაც დაიღუპა აფხაზთა სამი მაღალი რანგის ოფიცერი და დაიჭრა ორი. არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ქართველთა ოჯახების მიმართ ტერორი ხორციელდება რუსეთის სამშვიდობო ძალების არა მხოლოდ წაყრუებით, არამედ ხელშეწყობითაც.

ამ მხრივ საგულისხმოა სააგენტო "იბერიას" ინფორმაცია, რომლის თანახმად, "ტერორი მიზნად ისახავს ქართული მოსახლეობის დაშინებასა და მათ განწყობას პარტიზანული მოძრაობის საწინააღმდეგოდ". ამავე დროს ქართულ პრესაში გავრცელდა აფხაზეთში მოქმედი პარტიზანული ფორმირება "თეთრი ლეგიონის" მიმართვა, რომელშიც ის იღებს პასუხისმგებლობას 9 დეკემბერს დაბა რეპთან აღმოსავლეთის დაჯგუფების შტაბის უფროს დაურ აშუბასა და მის თანმხლებ პირებზე თავდასხმაზე. ამგვარი ინფორმაციების ფონზე გაუგებარია, თუკი ქართველი პარტიზანები მართლაც არიან აფხაზეთში და აწყობენ ტერორისტულ აქტებს სეპარატისტთა წინააღმდეგ, მაშ რა გასაკვირია, რომ ათასობით დანაშაულის ჩამდენი სეპარატისტები საპასუხოდ უსწორდებიან ქართველებს. ამ კონტექსტში სხვაგვარ დატვირთვას იძენს აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების მიმართვა გაერო-სადმი, სადაც იგი ემიჯნება აფხაზეთში მოქმედ პარტიზანულ დაჯგუფებებს: გამოდის, რომ მათ არა მხოლოდ მძევლად დაუტოვეს ქართველები გენოციდის მომწყობ აფხაზებს, არამედ გაწირეს პარტიზანებიც. გვახსენდება 1992 წელს ცხინვალზე შეტევის დროს შევარდნაძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ იქ მოქმედი ეროვნული გვარდიის ნაწილები მას არ ემორჩილებიან. ამას მოჰყვა 13 ივნისის ცნობილი ინციდენტი გორის სატანკო ნაწილში და სამაჩაბლოში ქართული პოლიტიკის სრული კრახი.

მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ არავითარი ქართველი პარტიზანები აფხაზეთში არ არიან, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს არც პოლიტიკურ, არც სამხედრო და არც საქმიან წრეებში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ზურგს შეუქმნის ამგვარ მოძრაობას. მაგრამ თბილისში იმდენს იყვირებენ და იტრაბახებენ ამით, რომ ენგურსგადაღმა დარჩენილ მცირერიცხოვან ქართველებსაც ამოახოცინებენ და საქართველოსთვის საზიანო მოვლენების პროვოცირების საბაბსაც მისცემენ რუსეთის "სამშვიდობო" კონტინგენტს.

*მამუკა ტუსიშვილი*

## კვირის ამბები

### ნავთობის გარშემო ურთიერთობები დაიძაბა

#### შევარდნაძემ ნავთობის წილში ჩასვა იაპონელები

აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის (აიოკი) პრეზიდენტ ტერი ადამსსა და საქართველოს ნავთობკონსორციუმის პრეზიდენტ გია ჭანგურიას შორის ურთიერთობები დაიძაბა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საქართველოს კორპორაციის აქციების ნაწილი, რაც აიოკის აქციების 3,92 პროცენტს შეადგენს, შეისყიდა იაპონურმა კორპორაციამ "იჩოტუ კორპორეიშენ". ეს მოხდა ივნისში იაპონელთა ვიზიტისა და შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ. ამასთან, იაპონელები მხოლოდ მას შემდეგ გამოყოფენ ინვესტიციებს, როდესაც საბოლოოდ დამტკიცდება ნავთობმაგისტრალის მარშრუტი. ისინი არ დაკმაყოფილდებიან არსებული წილით და, ალბათ, ჩაერთვებიან კასპიის ნავთობის სხვა კონსორციუმებშიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხარის მიერ ამ გარიგების შესახებ არ იყო ინფორმირებული აიოკი, რასაც თავად ჭანტურია არ მიიჩნევს დარღვევად. ტერი ადამსმა კი შეახსენა თავის პარტნიორებს, რომ მილსადენში გაივლის არა ქართული, არამედ აზერბაიჯანული ნავთობი.

#### რაზეა დამოკიდებული ნავთობმაგისტრალის მარშრუტის დადგენა?

9 დეკემბერს, შევარდნაძესთან შეხვედრისას, ტერი ადამსმა განაცხადა, რომ "სუფსაზე სახმელეთო ნავთობგადამამუშავებელი ტერმინალის აშენება უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის". მისი თქმით, აიოკი ვალდებულია 1997 წლის ივნისში წარუდგინოს აზერბაიჯანის მთავრობას ძირითადი ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტთა პროექტები, რის შემდეგაც მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მარშრუტის შესახებ. რაც შეეხება სუფსის ტერმინალს, მისი აშენება გაცილებით უფრო იაფი დაჯდება და მომგებიანიც იქნება.

ადამსმა მოითხოვა სუფსის ნავთობსადენისა და მშენებარე ტერმინალის სრული უსაფრთხოების გარანტიები და მთელი აკვატორიის გაძლიერებული დაცვა. მისი თქმით, "თუ სუფსის მარშრუტი პოლიტიკური მოსაზრებებით გამოუსადეგარი აღმოჩნდა, სარეზერვო ვარიანტით, ნვთობი ბულგარეთის ნავსადგურ ბურგასში ჩაიტვირთება".

#### ყარაბახის პრეზიდენტი წინააღმდეგია ნავთობმაგისტრალის საქართველოზე გავლის

"...ვინაიდან ეს გამოიწვევს აზერბაიჯანის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის გაზრდას და, ამდენად, ეწინააღმდეგება ყარაბახის სტრატეგიულ ინტერესებს", - განაცხადა ყარაბახის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა. ამასთან ყარაბახის ხელისუფალნი აპირებენ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში გააგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები "სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილების შესასწავლად".

#### აზერბაიჯანი ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტისკენ იხრება

აზერბაიჯანის ნავთობკომპანიათა აზრით, ძირითადი ნავთობის ტრანსპორტირების დასავლეთის მარშრუტთან ერთად, არანაკლებ პერსპექტიულია რუსეთის მარშრუტი, ხოლო აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია ყველაზე იაფ და უსაფრთხო, პოლიტიკურად მომგებიან მარშრუტად მიიჩნევს ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებას, რომლის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენის მხოლოდ მცირე ნაწილი გაივლის.

# ბალანსირების დოქტრინა საქართველოს საწინააღმდეგოდ

**საქართველოს პოლიტიკაში სრული ქაოსი სუფევს. უმაღლესი მმართველები და მათი მრავალრიცხოვანი ინტერპრეტატორები საბოლოოდ გაიხლართნენ მათ მიერ შემუშავებული წინააღმდეგობრივი პოლიტიკური დოქტრინის ქსელში და ცდილობენ ისე წარმოსახონ საქმე, თითქოს ეს ხაფანგი მტრისთვის დაეგოთ**

## პარადოქსული სტატისტიკა

თუმცა ჯერ ისიც კი არ გარკვეულა, ვინაა საქართველოს მტერი, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი მტერი.

შევარდნაძე შეაჩვენებს აფხაზ სეპარატისტებს, რის შემდეგაც საზოგადოება მოულოდნელად, თან დაგვიანებით იგებს, რომ იგი შეხვედრია გუდაუთის ყველაზე სეპარატისტული, პროთურქული კლანის იდეოლოგს, კონსტანტინე ოზგანს; ანტიაფხაზური სახელმწიფო პროპაგანდის ფონზე, უშიშროების სამსახურის მეორე პირი პერმანენტულად დაიარება სოხუმში და ხვდება ყველაზე რადიკალ სეპარატისტებს; საერთაშორისო დონეზე ქართველთა ეთნიკური წმენდის დადასტურების პარალელურად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმავე ოზგანთან, რომელთა დროს აფხაზური მხარე კვლავ იმპერატიულად სვამს თავის პირობებს; ანტისაოკუპაციო გამოსვლებს შორის ჟვანიას ყელში ეჩხირება რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარის ვიზიტი, რომლის დროსაც ქართველი სპიკერი ვერ ახერხებს თავისი სატელიტური თავმდაბლობის შენიღბვას, აშკარად გაურბის მწვავე კითხვებზე პასუხს და მთელი აქცენტი სამი წლის წინ დადებულ ხელშეკრულებათა უვარგისობაზე გადააქვს; ლამის ყველაზე ანტირუსული ფრაქციის - "აფხაზეთი" - წევრები უფროსი ძმის წინაშე უკანა თათებზე დგებიან და ტუქსავენ თავიანთ კოლეგებს ოკუპანტი სპიკერის მიმართ გამოხატული დემარშისთვის.

სრული გაურკვევლობა სუფევს საერთაშორისო სტრატეგიის გამომუშავების მხრივაც: ლისაბონში, ეუთო-ს შეხვედრაზე, შევარდნაძე დუმილით უვლის გვერდს ნატოს გაფართოების საკითხს - აქაოდა, რაიმე ხათაბალაში არ გავეხვიოთო, ხოლო ჟვანია ვერავითარ საფრთხეს ვერ ხედავს ნატოს გაფართოებაში; შავი ზღვის აუზის ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციათა შეხვედრაზე საქართველო მხარს არ უჭერს უკრაინის პროტესტს სევასტოპოლის სტატუსთან დაკავშირებით რუსეთის სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე (რითაც, ფაქტობრივად, იზიარებს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის რღვევისკენ მიმართულ პოლიტიკას) და იქვე ხმას აძლევს რუსეთის წინადადებას ბოსფორის სრუტეში ბისეკის ქვეყნების ერთობლივი კონტროლის განხორციელების შესახებ, რაც ნიშნავს ნატო-ს წევრი თურქეთის პრივატული უფლების შეზღუდვას.

ამ ფონს დამაგვირგვინებელ აქცენტს უკეთებს ე.წ. თავისუფალი პრესა, რომელიც საკენკად უყრის ობივატელს სელეზნიოვისეული ციტატის - "ჩვენ არ ვიზიარებთ ნატო-ს კურსს როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთითა და ჩრდილოეთით გაფართოებაზე" - მეტად თავისუფალ ინტერპრეტაციას, თითქოს სათათბიროს თავმჯდომარემ თითი დაუქნია საქართველოს ხელისუფალთ - ძალზე აქტიურად თანამშრომლობთო ნატო-სთან.

და იქმნება სრულიად ყალბი ილუზია, თითქოს საქართველოს ხელისუფალნი, რასაკვირველია, პირველ რიგში შევარნაძე, როგორც დიდი სტრატეგი, ტაქტიკოსი და დიპლომატი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აწარმოებენ ბალანსირებულ პოლიტიკას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის - რათა რაიმე ხათაბალაში არ გავებათ.

## ორმაგი პოლიტიკა, თუ ანტიეროვნული ავანტიურიზმი?!

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სელეზნიოვმა პარლამენტართა წინაშე თავის ოდიოზურ გამოსვლაში პირდაპირ დააფიქსირა საქართველოში რიგი ძალების ანტირუსული ორიენტაცია და გამიჯნა მათგან მმართველი კლანი. საგულისხმო იყო ეროვნულ-დემოკრატი ვიცე-სპიკერის, გიორგი კობახიძის გამონათქვამი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იმდენ ხანს ეძება ორი რუსეთი, რომ სელეზნიოვს ორი საქართველო აღმოაჩენინაო. სხვა საკითხია, რომ ამ ძიების სათავეებთან თავად ეროვნულ-დემოკრატები იდგნენ და წარმატებითაც გამოიყენეს ე.წ. დემოკრატიული რუსეთის მხარდაჭერა კანონიერი ხელისუფლების დასამხობად.

ფაქტია, რომ ამ ეტაპზე გიორგაძის სახალხო ედპ მისთვის მეტად მომგებიანი პოზიციიდან უპირისპირდება ოფიციალურ პოლიტიკას და წარმოაჩენს მის პრორუსულ ორიენტაციას, რასაც, სხვათა შორის, ვერ ან არ აკეთებენ ეროვნულ ორიენტაციაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკური ძალები. დღეს ეს თვით გიორგაძის ედპ-ს აშკარა უპირატესობას ანიჭებს სარიშვილის ფრთასთან, რომელიც იმავე ბალანსირების თეორიის ხლართებშია გახვეული და მეორადი ფიგურების (ჯერ გიორგაძე, შემდეგ მარგიანი, მოგვიანებით - ნადიბაიძე) მხილებითაა დაკავებული. გიორგაძის სახალხო ედპ-ს უკანასკნელი დემარში და ხელისუფლების პრორუსული ორიენტაციის მამხილებელი განცხადებები აშკარა უპირატესობას ანიჭებს ამ პარტიას საერთო პოლიტიკურ სპექტრში, იმისდა მიუხედავად, ვინ ენდობა ან არ ენდობა მათი ნაბიჯების გულწრფელობას. თუკი ედპ-ს ეს ფრთა არ ისახავს ლოკალურ მიზანს - გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვოს თავის პირდაპირ კონკურენტზე მოახლოებული ადგილობრივი არჩევნების წინ, და მართლაც სერიოზულად აპირებს პერსპექტიულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს, თუნდაც არაგულწრფელი სპეკულაციების გზით, საფიქრალია, რომ იგი შეეცდება პარლამენტის გარეთაც განიმტკიცოს პოზიციები. მით უფრო, რომ გიორგაძე იმთავითვე, ზომიერების ფარგლებში, ჩაება ანტისაოკუპაციო კომიტეტის საქმიანობაში და, ამ პარტიული გაერთიანების (მასში 16 პოლიტიკური ორგანიზაცია შედის) სახით, გარკვეული ზურგიც შეიქმნა. რამდენად თანმიმდევრული იქნება ეს ნაბიჯები იმაზეცაა დამოკიდებული, რა ტაქტიკას აირჩევს უმაღლესი ხელისუფალი - გაითამაშებს ამ დაპირისპირებას თავის სასარგებლოდ, როგორც დამატებით არგუმენტს ორმაგი პოლიტიკის ფარული დემონსტრირებისთვის, თუ დაუპირისპირდება მისთვის ჩვეული სუპერკომუნისტური გაგულისებით - რათა რაიმე ხათაბალაში არ გავებათ.

## შევარდნაძის ეკონომიკური ფანტაზიები

ასეთივე ორმაგი თამაშის ილუზიის შექმნას ემსახურება ჩვეულებრივი, კლანური ინტერესების შენიღბვა რეფორმისტულ და ანტირეფორმისტულ ეკონომიკურ მიმართულებებად. უკვე ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ევროპაზე და, მეორე მხრივ, რუსეთზე ორიენტირებული ფინანსურ-ეკონომიკური წრეების სინდრომი, რომელთა შეჯახება სტრატეგიული ორიენტაციის განსაზღვრისთვის ბრძოლად საღდება. სინამდვილეში კი საქართველოში ხდება კრედიტების გამოქაჩვა დასავლეთიდან და მათი დატრიალება აღმოსავლური წესით, ანუ გადასანსვლა ყოველგვარი გლობალური სარგებლის გარეშე.

მთავრობის ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე შევარდნაძემ, სოცრეალიზმის ტრადიციების სრული დაცვით, დახატა საქართველოში ეკონომიკური აღმავლობის სურათი, რომლის თანახმადაც, რამდენიმე წელიწადში ქვეყანას რეალური აყვავება ელის. ამ სიზმრის უმთავრესი წყარო იყო და რჩება ნავთობმაგისტრალი, რომელზეც იმედებს ამყარებს არა მხოლოდ მმართველი ელიტა, არამედ ამ იმედით ნასაზრდოები საქართველოს მთელი მოსახლეობაც.

და სწორედ ამ იმედების შემყურე შევარდნაძე დგამს საბედისწერო ნაბიჯს - საქართველოს ნავთობკონსორციუმის აქციათა საკმაოდ საგრძნობ ნაწილს, საერთაშორისო კონსორციუმთან შეთანხმების გარეშე, ჰყიდის იაპონურ ფირმას "იტოჩუ კორპორეიშენ", რაც სკანდალურ ვითარებაში აგდებს საქართველოს მხარეს. პარალელურად ამისა, აშკარად იბლოკება ნავთობმაგისტრალის აჭარაზე გავლის მარშრუტი და ამის საპირისპიროდ ჩნდება ფოთის პორტში გაცილებით ძვირადღირებული ტერმინალის აგების გეგმა. აჭარის გარშემო იქმნება პოლიტიკურად არასტაბილური და არასაიმედო რეგიონის იმიჯი. შევარდნაძე კი, რომელიც აგრერიგად ამაყობდა საქართველოსთვის სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის მინიჭებით და ყველა თავის ეკონომიკურ გამოსვლაში ხაზს უსვამდა ტრანზიტის დომინირების აუცილებლობას, უცებ აცხადებს, რომ ქვეყანა არ შეიძლება იყოს ორიენტირებული მხოლოდ ტრანზიტზე და საჭიროა წარმოების ამაღლება - თითქოს პირველი პრობლემა უკვე დასძლია და ახლა მეორეს შეეჭიდა.

ზოგადად ტრანზიტზე მთლიანი ორიენტაცია რომ დამღუპველია, ყველასთვის ნათელი იყო ჯერ კიდევ სანავთობო ბუმის დასაწყისში. მაგრამ უცნაურია ამის აქცენტირება მაშინ, როდესაც თითქოს რეალური ხდება ე.წ. დასავლეთის, ანუ საქართველოზე გამავალი მარშრუტის დამტკიცება და აშკარაა, რომ ამ საკითხში მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს დასავლეთისა და რუსეთის ინტერესები. ამ პროექტის განხორციელებით დაინტერესებული საერთაშორისო ნავთობკომპანიები ისედაც მნიშვნელოვნად ითვალისწინებენ რუსეთის პოზიციას და თავიდანვე ნათელი იყო, რომ საქართველოს გამო არავინ გადაიკიდებს რუსეთს. მაგრამ დღეს უკვე იქმნება ვითარება, როდესაც, ფაქტობრივად, თვით ქართული მხარე ბლოკავს ამ ვარიანტს, თანაც ფარული მანევრებით.

ჩვენთვის მეტად საეჭვოა, რომ ნავთობმაგისტრალის საქართველოს ტერიტორიაზე გავლა ან არგავლა, არსებული მმართველობის პირობებში, რაიმე რეალურ სარგებელს მოუტანს საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობას: ორივე შემთხვევაში მოგებული იქნება მმართველი ოფიციოზური მაფია და გარეპატრონი - დასავლეთის თუ რუსეთის სახით. უბრალოდ, საწყენია, აღმაშფოთებელი და საერთოდაც... როცა ასე სულელივით გაბურთავებენ, ხან ერთ სატყუარას შემოგიგდებენ, ხან მეორეს და შენ ყველაფერს მიირთმევ - ვინ სიამოვნებით, ვინ კბილების ღრჭიალით. ამაზე მეტად რაღა ხათაბალაში უნდა გაებას ერი.

## დაბოლოს...

რეალურად საქართველოს მმართველობას არ გააჩნია არავითარი პროგორამა, გარდა ერთისა - პირადი ინტერესი. ერთ შემთხვევაში ესაა ფული, მეორეში - ძალაუფლება, რაც ასევე ფულთანაა მჭიდრო კავშირში. ამ ორიენტაციის საცეცები აბსოლუტურად ყველა სფეროს მოიცავს და კვალად აჩნდება ყველაზე მნიშვნელოვან, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილ საკითხებსაც - იქნება ეს აფხაზეთის, შიდა ქართლის, ლტოლვილების, ბიუჯეტის, ფასების მომატების, ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა-არდაძლევის და თვით ნავთობმაგისტრალის საკითხი.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ხელისუფლების სრული კრახი ყველა ამ მიმართულებით არათუ არ არყევს მის ძალაუფლებას, არამედ პირიქით - განამტკიცებს, ვინაიდან იმ სრული პოლიტიკურ-სამართლებრივი და იდეოლოგიური ქაოსის მიღმა მოქმედებს საზოგადოების მართვის უმძლავრესი ბერკეტი, როდესაც მმართველი კლანი ფლობს ყველაფერს და თავად იძლევა ყველაფრის უფლებას; როდესაც უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელია არა კანონი, არამედ - კლანური პრინციპი.

*რომანოზ საგინაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპოზიცია გააქტიურდა ხელისუფლებისა და ერთმანეთის წინააღმდეგ

საქართველოს ოპოზიციურ სპექტრში აშკარა გამოცოცხლება შეიგრძნობა. ერთი მხრივ, პროდემოკრატიული ორიენტაციის პარტიებმა ერთობლივად შეუტიეს ხელისუფლებას, რისი ფორმალური საბაბიც გახდა სელეზნიოვის მუქარით სავსე გამოსვლა პარლამენტში და საქართველოს ოფიციოზის მიერ ლისაბონში და ბისეკ-ის საპარლამენტო დელეგაციათა შეხვედრაზე გამომჟღავნებული, აშკარად პრორუსული კურსი. ედპ-ს დემარშს უმალ აუბეს მხარი ტრადიციონალისტებმა და რესპუბლიკელებმა. ამ უკანასკნელთა განცხადებაში, ივლიანე ხაინდრავასთვის ჩვეული პოლიტიკური ტერმინების ნაცვლად, ხელისუფლების მიმართ დომინირებს სრულიად არაპოლიტიკური ეპითეტები - "უსუსური", "ლაჩრული", "სიბეცე" და ა.შ. ასე რომ, ხელისუფლებამ ყველაზე გაწონასწორებული რეზონიორებიც კი გამოიყვანა წყობიდან.

ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამააშკარავა პარტიათაშორისი უთანხმოებანიც. 13 დეკემბერს საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც ვახტანგ ყოლბაია უარყოფდა გიორგაძის ედპ-ს მიერ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს; კერძოდ, რომ იგი თანახმა იქნებოდა არძინბას მოადგილეობაზეც. თავის მხრივ, ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ ედპ-ს უარყოფით ნაბიჯებს შორისაა "კანონიერი მთავრობის გადაყენება და შევარდნაძის დატოვება იმ დროს, როდესაც იგი გადადგომას აპირებდა". როგორც ჩანს, იგი გულისხმობდა 1993 წლის 14 სექტემბრის ცნობილ შოუს მუხლზე ჩოქვითა და შეძახილებით - "ჩვენ ავლოკავთ"... საგულისხმოა, რომ კაკუბავას არ მიაჩნია თავისი თავი ამ უარყოფით ნაბიჯთაგან თუნდაც პირველის თანამონაწილედ.

პარალელურად ამისა, წმ. ილია მართლის საზოგადოების გახლეჩით, გაცხადდა ახალი განხეთქილება "მრგვალი მაგიდის" წიაღშიც: გამოყოფილებმა ამ ბოლო ხანებში მეორედ გამართეს კონფერენცია, რომელზეც გია ჩხიკვაძემ უკვე აშკარად დასდო ბრალი თენგიზ კიკაჩეიშვილს ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ დესტრუქციულ ქმედებაში. ადრე მან ხელისუფლებასთან პირდაპირ თანამშრომლობაში ამხილა სხვა მრგვალმაგიდელები. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე, რაც, მისი თქმით, "მრგვალ მაგიდას" ხელისუფლება მართავს, თავად ჩხიკვაძე იყო ამ გაერთიანების მიერ გადადგმული ნაბიჯების უაქტიურესი ინიციატორი. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, საკუთარ პასუხისმგებლობას ვერავინ გრძნობს.

ასე რომ, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დუღილის პროცესი იწყება: ვინ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ილაშქრებს, ვინ - ერთმანეთის. საინტერესოა, რომელი ტენდენცია დასჯაბნის?

*ი. დ.*

# შევარდნაძე კვლავ არ აირჩიეს გაერო-ს გენერალურ მდივნად

გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ახალ გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა აფრიკის კონტინენტის წარმომადგენელი, განელი კოფი ანანი. საგულისხმოა, რომ ბუტროს ბუტროს გალის ხელმეორედ არჩევაზე ვეტო დაადო აშშ-მა. ანანის კანდიდატურის წინააღმდეგ წავიდა საფრანგეთი იმ მოტივით, რომ იგი ცუდად ფლობს ფრანგულ ენას. ინგლისურენოვანმა ქვეყნებმა, თავის მხრივ, დაიწუნეს საფრანგეთის მიერ შემოთავაზებული კანდიდატი იმავე საბაბით - რომ მან კარგად არ იცის ინგლისური. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში წარმოიშვა აზრი, რომ კონსენსუსის მისაღწევად აირჩიონ შევარდნაძე, რომელმაც არც ერთი ენა არ იცის.

მაგრამ გაიმარჯვა ამერიკის პოზიციამ...

# ფსევდოპატრიოტიზმის თეორია

დღეს ყველა პატრიოტია. საგაზეთო წერილებში და სატელევიზიო გამოსვლებში ტერმინების აღრევა კიდევ უფრო აღრმავებს ამ სიტყვის "მოდერნისტულ" გაგებას. როგორც ჩანს, ფუნდამენტური ცნებების დაზუსტების გარეშე, ჭეშმარიტი და ყალბი პატრიოტიზმის პრობლემის გარკვევა, უბრალოდ, შეუძლებელი ხდება. რა არის პატრიოტიზმი? ეროვნული ცნობიერებისთვის პატრიოტიზმი ყველაფერია, რაც ტრადიციულს უკავშირდება, ხოლო არსებული კომუნისტური ნომენკლატურისთვის იგი რაღაც ახალი ხილია.

არსებობს თუ არა პატრიოტიზმის სამეცნიერო განსაზღვრება? დღემდე ამის საჭიროება არ არსებობდა, რადგან რაღაცის დეფინიცია მხოლოდ მაშინ ხდება აუცილებელი, როდესაც იგი კარგავს თავის ჭეშმარიტ, პირველად მნიშვნელობას და ყალბ ჟღერადობას იძენს, როდესაც სრულიად საპირისპირო მოვლენების სახელდება ერთი და იმავე ტერმინით ხდება. მეტი სიცხადისთვის რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. კრწანისის ბრძოლისა და აფხაზეთის ომის მონაწილეს - ორივეს პატრიოტები ჰქვიათ, თუმცა მათი ქმედებები სრულიად სხვადასხვაგვარად აღიქმება. შესაბამისად, იცვლება საზოგადოების მიერ უკვე გამომუშავებული რეფლექსი ამა თუ იმ ცნების მიმართ და ჩნდება განსხვავებული თვალსაზრისი.

ასე იწყება მარადიული ფასეულობების დისკრედიტაციის მცდელობა,- სრულიად შეგნებულად და გამიზნულად. ინგრევა იდეის ჭეშმარიტი მოდელი და იგი ცრუ, ყალბი, კომერციული ღირებულებებით იცვლება და რაც მთავარია, ეს ხდება პროგრესის იდეოლოგიის სტერეოტიპზე დაყრდნობით.

უცხოეთს ნაციონალური საკითხი აღარ აინტერესებს. საჭიროა მისი შეცვლა რაღაც სხვა, გამოგონილი ფასეულობით, რათა ცივილიზებულ ევროპელთა ყურადღება მიიქციო. ამგვარი კომპრომი ბადებს იმ თავმომწონე ოპტიმიზმს, ერთ მშვენიერ დღეს სასოწარკვეთად რომ იქცევა ხოლმე, როდესაც აღმოჩნდება, რომ ჩვენი პრობლემებისთვის არავის სცალია და ჩვენი კომპრომისიც მორიგი გაწბილებისა და მარცხის წინაპირობად იქცევა.

არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ პატრიოტიზმი, ეროვნული იდეა დღეს მთელს მსოფლიოში მკვდარია, ყოველ შემთხვევაში, იმ ფორმითა და შინაარსით, რომლითაც ეს ჩვენ გვესმის, რაზეც წერდნენ და მიგვითითებდნენ ჩვენი დიდი წინაპრები და რომლის მოსპობასა და გადაგვარებას ესწრაფვის დღეს საქართველოში არსებული ხელისუფლება.

ეროვნული იდეის დამახინჯებითა და დისკრედიტაციით იგი ცდილობს გააღვივოს ერში აზრი, რომ პატრიოტიზმი სამარცხვინო და დამღუპველია, რომ იგი ინსტიტუციად იქცა, სწორედ იმად, რასაც თვითონ ნებს ნაციონალისტური იდეის რაობას.

"მე ქრისტიანი ვარ" - ამბობს იგივე ედუარდ შევარდნაძე და ამით ასევე ეჭვქვეშ აყენებს ქრისტიანობის ცნებას.

ამ აზრის დამკვიდრებაში მეთაურს მხარს უმაგრებს ყურმოჭრილ მსახურთა ქორო, რომელსაც, მართალია, არცთუ ისე სახარბიელო იმიჯი აქვს საზოგადოებაში, მაგრამ პრივილეგირებული მდგომარეობის

## "მე მემარჯვენე ვარ" - ამბობს ედუარდ შევარდნაძე

## "მე ქრისტიანი ვარ" - ამბობს ედუარდ შევარდნაძე

ებრძოდა; მან კომერციული ღირებულება შეიძინა, მისი პოტენციალის რეალიზაციის პროცესი დასრულდა, ხოლო მისი გამარჯვების შესაძლებლობის იმედი დაიმსხვრა. ამიტომაც, არსებული ხელისუფლება ხაზგასმით მიგვითითებს, რომ "პატრიოტულ აღტყინებას" დღეს არავითარი აზრი არა აქვს. იგი უნდა დარჩეს მივიწყებულ, ისტორიად ქცეულ, შორეულ სიმბოლოდ, რომელიც თავისი დრომოჭმული ღირებულებით დღევანდელ, პროგრესისთვის მიუღებელ რეალობაში ვერ ჰპოვებს მომავალს, რადგან "დემოკრატიული" კაცობრიობა დღეს სულ სხვა კანონებით ცხოვრობს.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფალთა აზრით, ეროვნული იდეის პოპულარიზაცია ქვეყანაში ანარქიას და ნგრევას გამოიწვევს, ამიტომაც იგი ნერგავს აზრს, რომ ამ იდეის ერთგულება არის ანომალია და ფანატიზმი და საჭიროა საზოგადოების იმ ნაწილის განკურნება, რომელიც ამ ატავიზმით არის შეპყრობილი.

ეროვნულ იდეასთან ბრძოლის მეთოდიკა არსებულ ხელისუფლებას კარგად აქვს დამუშავებული. იგი ღიად კი არ უარყოფს პატრიოტიზმს, არამედ შეფარვით, დაცინვით, გაყალბებით ცდილობს მის მოსპობას. სწორედ ამ მიზნით დგას ედუარდ შევარდნაძე სვეტიცხოვლის გუმბათის ქვეშ, იწერს პირჯვარს, გორგასალისა და ერეკლეს საფლავებთან კითხულობს ფსევდოპატრიოტულ და ფსევდორელიგიურ "ეპისტოლეს" იმ პრეტენზიით, რომ იგი ღვთიური კანონებითა და პატრიოტული შემართებით მართავს ქვეყანას ახალ მსოფლიო წესრიგთან შეთანხმებით. ასე მოხერხებულად იქმნება ფსევდოპატრიოტიზმის ახალი თეორია.

"მე მემარჯვენე ვარ" - ამბობს ედუარდ შევარდნაძე და ამით ეჭვქვეშ აყენებს წყალობით, ელიტარულობის პრეტენზია ჯერ კიდევ შერჩენია.

არსებული რეჟიმი ყველა ღონეს ხმარობს, რათა დავიწყებას მიეცეს ეროვნული, პატრიოტული შემართებით გაბრწყინებული უახლესი წარსული, ხოლო მისი ყველა "გადმონაშთი", თუ საჭიროა, ძალისმიერი მეთოდებითაც კი აღმოფხვრას, ჩაკლას ქართველი ხალხის მთავარი იდეა, მოსპოს მისი განხორციელების პათოსი, სუპერმარკეტების მომხიბვლელი ვიტრინებით, ხმაურიანი კაფე-ბარებით, თვალისმომჭრელი რეკლამებით, სატელევიზიო სერიალებით, სპრინტითა და ლატარიით და მრავალი სხვა წვრილმანით გამიჯნოს საზოგადოება ეროვნული ფასეულობებისგან.

დღეს სახეზეა არსებული რეალობის მთელი ტრაგიზმი. საზოგადოება ინდიფერენტული გახდა, ჩაკვდა თავისუფლებისკენ სწრაფვის ტოტალური ენთუზიაზმი, სულიერი ცხოვრების ალტერნატივად კი უხეშად მოქმედებს თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი. ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ადგილს თანდათან ფსევდოპატრიოტიზმი იკავებს, რომელიც საზოგადოებისგან არც ქმედებას, არც ბრძოლასა და არც თავგანწირვას ითხოვს და შესანიშნავად ერგება გადაღლილი და იმედგაცრუებული ხალხის ობივატელურ მენტალიტეტს.

ამ გაუსაძლისი ტრაგედიის ფონზე, როდესაც სასოწარკვეთამდე ერთი ნაბიჯია, ოპტიმისტურად გაიჟღერებს ხოლმე თავგანწირვის ცალკეული მაგალითები, რომელიც ჯერჯერობით ვერ ცვლის საერთო სურათს, მაგრამ მაინც აიძულებს დაკნინებულ საზოგადოებას, იფიქროს მომავალზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაკარგული.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

## კვირის ამბები

### რა აღუხებს შევარდნაძეს - ობოლი ბავშვები თუ შს მინისტრი?

12 დეკემბერს, მთავრობის სხდომაზე, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოდან საზღვარგარეთ, ვითომ სამკურნალოდ, ყიდიან ობოლ, ჯანმრთელ ბავშვებს. გაყიდვა ხდება ძირითადად აშშ-ში. საქართველოში კი არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მათ დაიცავდა, არც შსს, არც უშიშროების მინისტრი" - გაცხარებით თქვა შევარდნაძემ და მოითხოვა ამასთან დაკავშირებით სპეციალური საპრეზიდენტო ბრძანებულების მომზადება.

საინტერესოა, ეს ბრძანებულება რეალურად დაიცავს ობოლ ბავშვებს, თუ მხოლოდ საშუალება გახდება ძალოვანი სტრუქტურების მინისტრთა მიმართ მკაცრი ზომების განსახორციელებლად. ამგვარ ეჭვებს ბადებს ის, რომ ამ ბოლო დროს შს მინისტრმა, კახა თარგამაძემ, გაბედა და შეედავა შევარდნაძეს პოლიციის სისტემის ეფექტურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

### შევარდნაძეს კვლავ პოლიტპატიმართა აჩრდილები ელანდება

...და ცდილობს გაექცეს მათ, თუნდაც საზღვარგარეთ. მას შემდეგ, რაც საგამომძიებლო საქმიანობაში უშუალოდ ჩართულმა და, ამდენად, დაინტერესებულმა პირებმა "კვალიფიციურად დაასაბუთეს", რომ საქართველოში არ არიან პოლიტპატიმრები, შევარდნაძე თითქოს დამშვიდდა და ამცნო საზოგადოებას, რომ ამგვარნი ჩვენს ქვეყანაში არ არიან და არც იქნებიან. მაგრამ 9 დეკემბრის რადიოინტერვიუში მაინც ვერ აუარა გვერდი ამ საკითხს და კიდევ ერთხელ გაიმეორა საკრალური ფრაზა - "მე აბსოლუტურად გულწრფელად ვთქვი, რომ არ მინდა და ვერც შევძლებ ცხოვრებას ისეთ ქვეყანაში, სადაც პოლიტპატიმრები იქნებიან".

როგორც ჩანს, "თეთრი მელა" მაინც ბერდება. ადრე იგი მეტ გამძლეობას იჩენდა და ადვილად "იტანდა ცხოვრებას" საბჭოთა სისტემაში, რომლის წნეხში ასეულ ათასობით პოლიტპატიმარმა გაიარა, მათმა დიდმა ნაწილმა კი სწორედ მისი მეოხებით.

### აჭარას საკომუნიკაციო ბლოკადაში აქცევენ

ნოემბრის ბოლოდან აჭარას გამორთული აქვს გარე სამყაროსთან საკონტაქტო სატელეფონო არხები. ეს გადაწყვეტილება საქართველოს ტელეკომმა მიიღო აჭარის მხრიდან არსებული დავალიანების გამო და, ფაქტობრივად, საკომუნიკაციო ბლოკადაში მოაქცია ავტონომიური რესპუბლიკა. მიუხედავად იმისა, რომ დავალიანების ნაწილი გადახდილი იქნა, თბილისსა და ბათუმს შორის კავშირი კვლავ გაწყვეტილია.

### ასლან აბაშიძე ბრალს დებს თბილისს

11 დეკემბერს ასლან აბაშიძემ გააკეთა განცხადება, რომ თბილისს არ სურს რეგიონების ეკონომიკურად მომძლავრება და ამით აიხსნება აჭარაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ კანონპროექტის მიღების გაჭიანურება. როგორც ცნობილია, ეს კანონპროექტი ერთი წლის წინათ იქნა შემოტანილი საქართველოს პარლამენტში ფრაქცია "აღორძინების" მიერ. ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საპარლამენტო კომიტეტის აპარატის უფროსმა, პაატა ზაქარეიშვილმა, ამ პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა უარყოფითი დასკვნა, რომლის მთავარი არგუმენტია; რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის საზღვრები არ უნდა აღემატებოდეს 50 ჰექტარს და არსებობს საშიშროება, რომ ასლან აბაშიძემ ეს ციფრი 5000 ჰექტარამდე გაზარდოს. ფრაქცია აღორძინების თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე თვლის, რომ კანონპროექტს წინააღმდეგობას უწევს "მოქალაქეთა" ფრაქცია.

### ფოთის ტერმინალი სუფსის სანაცვლოდ

აჭარის ხელისუფლება ბრალს დებს თბილისს იმაში, რომ იგი თავად აღვივებს აჭარის გარშემო სეპარატისტულ პროპაგანდას, ვინაიდან, წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, თავისუფალი ზონის მართვის საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობის დანიშვნა უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ უნდა მოხდეს. ამჟამად კი რესპუბლიკის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტის ინტერესები, როგორიცაა ბათუმის პორტი, რომელიც, ტრადიციულად, თხევადი საწვავის გამტარია და ამ დროს მუშავდება ფოთში ნავთობტერმინალის აშენების პროექტი, რომელიც 250 მილიონი დოლარი ჯდება.

### ბათუმის პორტში რუსებმა დააპატიმრეს უკრაინული გემი

4 დეკემბერს ბათუმის პორტში რუსმა მესაზღვრეებმა, კაპიტან ჩუგუნის მეთაურობით, დააპატიმრეს ციტრუსებით დატვირთული უკრაინული გემი "ალმაზი". ოფიციალური ვერსიით, ქართული მხარე არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. იგივეს აცხადებს უკრაინის საელჩო თავის ნოტაში, რომელიც წარედგინათ შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეებს. უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებმა ამის შესახებ ანონიმური სატელეფონო ზარით შეიტყვეს. 11 დეკემბრამდე გემის კაპიტანი დამწყვდეული ჰყავდათ სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, ხოლო ეკიპაჟი - გემის ტრიუმში. სევასტოპოლის პორტის წარმომადგენელთა ჩამოსვლისთანავე ტუსაღები თვითმფრინავით, ფარულად, სასწრაფოდ გადაიყვანეს სევასტოპოლში. როგორც გაირკვა, არ არსებობდა გემის საქართველოს პორტში დაკავების არავითარი კანონიერი საფუძველი. რუს მესაზღვრეებს დაუმტვრევიათ გემზე არსებული რადიოსადგური, თუმცა შემდგომ გენერალი კრილოვსკი - საქართველოში განლაგებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელი, თავად ეკიპაჟის წევრებს აბრალებდა ყველაფერს.

### რუსები საქართველოში რუსეთის კანონებით ხელმძღვანელობენ

და ეს სრულიად კანონიერია, ვინაიდან რუსეთ-საქართველოს შორის 3 წლის წინ დადებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, რუსმა მესაზღვრეებმა უნდა იხელმძღვანელონ რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონით. ეს რეალობა შეახსენა ქათულ მხარეს საქართველოში განლაგებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელმა, გენერალმა კრილოვსკიმ და აქვე დასძინა, რომ საქართველოს პარლამენტს ჯერ არც მიუღია კანონი საზღვრების შესახებ. პარლამენტის სპიკერმა, ზურაბ ჟვანიამ, 13 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სასაზღვრო ხელშეკრულება მიუღებელია ქართული მხარისთვის.

### ლარსის საზღვარი გახსნილია... ას ლარად

რომელიც უნდა გადაუხადოს რუსეთის საბაჟოს წარმომადგენლებს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში საქართველოდან მომავალი ყოველი კერძო მანქანის მფლობელმა. ეს წესი ამ რამდენიმე თვის წინ შემოიღეს რუსმა მესაზღვრეებმა. ასე რომ, დსთ-ს საზღვრებში მოქცევა კვლავ ძვირად უჯდება საქართველოს, განსაკუთრებით [illegible] წრეებს, რომელთაც რუსეთი ბაზრის [illegible] ემუქრება. [illegible] სავარაუდოა, ეს არის [illegible] ზეწოლა, რომელსაც მომავალში [illegible] რუსეთი საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სახელმწიფო გადატრიალების პირველივე დღეებიდან, არსებული ხელისუფლება ოსტატურად უყალიბებს საკუთარ ხალხს მათხოვრის მენტალიტეტს. თუმცა, აქაც არის სოციალური დიფერენციაცია - ზოგი ქუჩაში მათხოვრობს, ზოგსაც კი მათხოვრული ხელფასი ეძლევა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქუჩაში მოხეტიალე მათხოვრების შემოსავალი გაცილებით აღემატება მოსამსახურეთა ხელფასს.**

# "დამეხმარეთ, ობოლი ვარ"!

ქუჩებსა და მეტროებში, მაღაზიებსა და კაფეებში ხშირად შეამჩნევთ ძონძებში გამოხვეულ ბავშვებს. ისინი საცოდავი სახითა და სევდანარევი ხმით თხოულობენ მოწყალებას. გამვლელ-გამომვლელნი ეჭვის თვალით და ხანდახან ზიზღითაც ათვალიერებენ პატარა მათხოვრებს, რომლებსაც სულ ერთი სიტყვა აკერიათ პირზე: "დამეხმარეთ, ობოლი ვარ". ეს სტერეოტიპად ქცეული ფრაზა, ასეთი მოსაბეზრებელი და უსიამო მოსასმენი რომ გახდა, სინამდვილეში მართლაც შეიცავს სიმართლის მარცვალს. ქუჩაში გამოსულ მაწანწალა ბავშვებს, რომლებსაც ეპოქის სისასტიკის გამო ტრაგიკული როლი ხვდათ წილად, დღეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი შემაშფოთებელი და ამაზრზენი გულგრილობით უყურებს.

მათხოვრობა ქუჩის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ნაგვის გროვებთან ხშირად შეამჩნევთ მოფუსფუსე ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი არსებობისთვის საზრდოს სწორედ აქ ეძებენ. აღარაფერს ვამბობთ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში დასახლებულ სხვადასხვა ასაკისა და სქესის გასაცოდავებულ ჩვენს თანამემამულეებზე, თავდახრილნი რომ სხედან გაყინულ ასფალტზე; ან თუნდაც ლტოლვილის სტატუსით კარს მომდგარ სოლიდურად ჩაცმულ ახალგაზრდებზე, რომლებსაც ერთი ლარი სჭირდებათ მომაკვდავი შვილისთვის.

ამ ვითარებაში, ტყუილ-მართლის გარკვევასა და გარჩევას ვერავინ შეძლებს. ფაქტი ერთია - ამ ადამიანებს უჭირთ, უჭირთ ისე, რომ კარდაკარ დადიან, ქუჩაში ხელგაწვდილნი დგანან, საკუთარ შვილებს სამათხოვროდ უშვებენ. ამ ადამიანების ბედზე არავინ ზრუნავს და არავის ანაღვლებს მათი მომავალი, ისინი განწირულნი არიან სამათხოვროდ და, ამასთან ერთად, საზოგადოების ზიზღსა და რისხვასაც იმსახურებენ. არადა მათი ამგვარი ყოფის მიზეზი სწორედ ამ საზოგადოების უზნეობაში უნდა ვეძიოთ და ქვეყანაში მათხოვრების რიცხვის კატასტროფული ზრდა მხოლოდ სოციალური სიდუხჭირის ლოგიკურ შედეგად არ უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში, სახელმწიფო გადატრიალების პირველივე დღეებიდან, არსებული ხელისუფლება ოსტატურად უყალიბებს საკუთარ ხალხს მათხოვრის მენტალიტეტს. თუმცა, აქაც არის სოციალური დიფერენციაცია - ზოგი ქუჩაში მათხოვრობს, ზოგსაც კი მათხოვრული ხელფასი ეძლევა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქუჩაში მოხეტიალე მათხოვრების შემოსავალი გაცილებით აღემატება მოსამსახურეთა ხელფასს. გამოდის, რომ ხალხი გაცილებით გულუხვია, ვიდრე ხელისუფლება. შესაბამისად, გაღიზიანებას იწვევს ის დამოკიდებულებაც, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ქუჩაში გამოსული მათხოვრების მიმართ აქვს: "შეგვჭამეს ამ ლტოლვილებმა", "ამ ბავშვებს პატრონი არა ჰყავთ?", "რა საშინელებაა, რას დაემსგავსა თბილისი" - ასეთი ფრაზებით ისტუმრებენ ხელგაწვდილ ბავშვებს "დემოკრატიისთვის" ბრძოლაში "სახტად დარჩენილი" ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებიათ, საიდან გვჭირს ამდენი უბედურება.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების მორალი თანდათან დაკნინდა. შესაბამისად, მანკიერი გახდა ამა თუ იმ მოვლენის შეფასების კრიტერიუმებიც - მათხოვრობა სირცხვილი და უღირსი საქციელია; მრუშობა, ქურდობა, მექრთამეობა, სისასტიკე, კაცისკვლა კი ვაჟკაცობად ინათლება. სინამდვილეში კი, მათხოვარი არ არღვევს ქრისტიანულ მცნებას "ითხოვე და მოგეცემას" პრინციპიდან გამომდინარე, ხოლო "საზოგადოებრივი ნომენკლატურა", რომელიც თავისი მატერიალური კომფორტის უზრუნველსაყოფად ყველაფერს კადრულობს, კარგა ხანია ღვთის მცნებათა გმობაშია.

აი, ასეთ ალტერნატივას სთავაზობს არსებული ხელისუფლება საკუთარ ხალხს. შესაბამისად, საზოგადოებრივი ყოფაც, მისი მენტალიტეტი ყოველთვის გამოკვეთს იმ ზოგად სურათს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ არჩეული კურსი. დღიდან ძალაუფლებაში მოსვლისა, შევარდნაძის რეჟიმი ცდილობს, თავს მოახვიოს ქართველ ერს მათხოვრის ფსიქოლოგია და იგი თვითონვე აძლევს შესანიშნავ მაგალითს საკუთარ ხალხს... ხელგაწვდილი ითხოვს ხორბალსა და შაქარს, გაზსა და საწვავს, ჰუმანიტარულ დახმარებას და კრედიტებს. გაყიდული ქვეყნისა და დაკარგული თავისუფლების სანაცვლოდ, იგი ხალხს "ნათელ მომავალს" ჰპირდება, მოუწოდებს მოითმინონ გაჭირვება და რჩევა-დარიგებებსაც აძლევს, როგორ უნდა იმყოფინონ თვიურად 9 ლარი.

ჩვენი მხრივ, "მადლიერების ნიშნად", არსებულ ხელისუფლებას რამდენიმე რჩევა-მოსაზრება გვინდა გავუზიაროთ - მათხოვრობა მხოლოდ სოციალური მოვლენა არ არის. არსებობს მათხოვრის ფსიქოლოგიური ტიპი. ასეთი ტიპის ადამიანებს შემოქმედებითი უნარი არ გააჩნიათ და ამიტომ, სამაღლოდ სხვის ხარჯზე ცხოვრობენ. ასე რომ, არა აქვს მნიშვნელობა, სად ითხოვ მოწყალებას - ქუჩაში თუ გაეროს საერთაშორისო კონგრესზე...

*ქეთევან ქურდოვანიძე*

## კვირის ამბები

### სოსო ჟღენტს გადაახდევინეს სასწრაფოს ფული

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 14 დეკემბერს კანონიერი ეროვნული გვარდიის გურია-იმერეთის პოლკის მეთაური, პოლიტპატიმარი სოსო ჟღენტი, რომელსაც აქვს მწვავე სტრესული დიაბეტი, ცუდად შეიქნა თბილისის #1 საგამომძიებლო იზოლატორის სანიტარულ ნაწილში. ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, გამოეძახებინა სასწრაფო დახმარება, რის შემდეგაც ავადმყოფ პოლიტპატიმარს ასესხებინეს თანხა და გადაახდევინეს სასწრაფო მომსახურების საფასური.

თებერვალში სოსო ჟღენტის საქმე გამოყოფილი იქნა პოლიტპატიმრების -ძიძიგურის, ქობალიას, ბოკუჩავასა და მოლოდინაშვილის საქმიდან იმ საბაბით, რომ იგი მძიმედ იყო დაავადებული და შეაფერხებდა პროცესის მსვლელობას. მთელი ათი თვის განმავლობაში, რაც მიმდინარეობდა ხსენებული საქმის სასამართლო განხილვა, ჟღენტი იმყოფებოდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. განაჩენის გამოტანისთანავე, სოსო ჟღენტი გადაიყვანეს საგამომძიებლო იზოლატორის სანიტარულ ნაწილში, სადაც არ მოიპოვება ელემენტარული სამედიცინო საშუალებები.

### სიკვდილმისჯილ პოლიტპატიმრებს კოდექსში შეტანილი ცვლილებები არ შეეხება

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს, პარლამენტმა, იმედისმომცემი აჟიოტაჟის შემდეგ, განიხილა იურიდიული კომიტეტის მიერ გამოტანილი კანონპროექტი ს/ს კოდექსში ცვლილებების შესახებ. მის თანახმად, სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა - გაუქმდა რიგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და შეიცვალა 20 წლამდე ან უვადო პატიმრობით. კერძოდ, უვადო პატიმრობას ითვალისწინებს სამშობლოს ღალატის მუხლი. ამასთან, სიკვდილით დასჯას კვლავაც ითვალისწინებს ტერაქტების განხორციელება - 68-ე მუხლის პირველი ნაწილი, დივერსიები - 69-ე მუხლი, მკვლელობა განსაკუთრებულ დამამძიმებელ გარემოებებში - 104-ე, პოლიციელის მკვლელობა - 109-ე, მეთაურის მკვლელობა სამხედრო ნაწილში - 258-ე მუხლი. რეალურად, ესაა სსკ-ს ის მუხლები, კერძოდ, 68-ე, 69-ე და 104-ე, რომელთა საფუძველზეც წაყენებული აქვთ ბრალდებები პოლიტპატიმართა უმრავლესობას და, რაც მთავარია, 104-ე მუხლის საფუძველზე გამოტანილ იქნა სასიკვდილო განაჩენი პეტრე გელბახიანის, ირაკლი დოკვაძისა და ვახტანგ ქობალიას მიმართ.

საგულისხმოა, რომ განხილვის შემდეგ კანონპროექტი არ იქნა მიღებული იმავე დღეს, საღამოს სხდომაზე კვორუმის არქონის გამო და მას მხოლოდ 11 დეკემბერს ეყარა კენჭი.

### ომბუდსმენობა შესაძლოა შევარდნაძემ შეითავსოს

13 დეკემბერს პარლამენტში უნდა განხილულიყო ომბუდსმენის ახალი კანდიდატურები: ფრაქცია "აღორძინებიდან" - რევაზ ღიასამიძე და "მოქალაქეებისგან" - ბესარიონ ზოიძე. მაგრამ კენჭისყრა ამჯერადაც არ შედგა, უფრო სწორად კი, ჩაიშალა "მოქალაქეთა" მენევრის შედეგად - თავიანთი კანდიდატურის განხილვა შემდგომისთვის გადაედოთ. დამკვირვებელთა აზრით, შევარდნაძის პარტიის დეპუტატები შეგნებულად აჭიანურებენ, მეტიც, აბიაბრუებენ სახალხო დამცველის არჩევის საკითხს მანამ, სანამ ვითარება სრულიად აბსურდული არ გახდება. ამ შემთხვევისთვის დადგება საკითხი, უკეთესი კანდიდატურის არყოლის გამო, ეს თანამდებობაც შეითავსოს შევარდნაძემ, რომელიც ბოლო დროს სერიოზულად იღვწის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მებრძოლის იმიჯის დასამკვიდრებლად.

# სამართალდამცავი კვადრიგა ტელეეთერში

*ამაში იოლად დარწმუნდებოდა ყველა, ვისაც 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს, წილად ხვდა ბედნიერება, ეხილა სამართალდამცავი სისტემის ამ ოთხი უწყების უმაღლესი პირები გადაცემაში "უფლებამოსილნი". წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად აუხსნელია ის იურიდიულიუცოდინრობა, რომელსაც ავლენდნენ ჯამლეთ ბაბილაშვილი, მინდია უგრეხელიძე, თედო ნინიძე და კახა თარგამაძე.*

### გენპროკურორი პოლიტპატიმრებს ს/ს კოდექსში ეძებს

მაგალითად, გენპროკურორი თითქმის 15 წუთის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდეს დევნას პოლიტიკური მოტივით და რომ ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც საბჭოთა კავშირის კოდექსი ითვალისწინებდა სასჯელს ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის.

ჩვენ ერთხელ უკვე განვუმარტეთ გენპროკურორს, რომ ამგვარი მუხლი არ არის არც ერთი მეტ-ნაკლებად ცივილიზებული სახელმწიფოს კოდექსში, მაგრამ პოლიტპატიმრები ამ ქვეყნებშიც არიან; ხოლო რაც შეეხება საბჭოთა სამართალს, იმ ერთპარტიული უნიტარული სისტემის პირობებში, თვით ანტისაბჭოთა პროპაგანდის შესახებ მუხლის არსებობასაც ჰქონდა იურიდიული გამართლებაც და ლოგიკაც - როცა აღიარებულია ერთის სრული დომინირება და არ არის გათვალისწინებული მისი ალტერნატივის არსებობა, ამ ერთის საწინააღმდეგო პროპაგანდა, ბუნებრივია, დანაშაულად უნდა ითვლებოდეს. ამიტომაც, საბჭოთა სისტემის მესვეურნიც ასევე თამამად აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰყავთ პოლიტპატიმრები.

### იუსტიციის მინისტრიც ხომ ყოფილი გენპროკურორია...

გენპროკურორისგან განსხვავებით, იუსტიციის მინისტრმა გადაწყვიტა, უფრო კვალიფიციური მუშაკის შთაბეჭდილება დაეტოვებინა და ფრთხილად ახსნა საფარველი პრობლემას: ლაპარაკია არა ამგვარი მუხლის არსებობაზე, არამედ ამა თუ იმ პირისთვის პოლიტიკური მოტივით სისხლის სამართლის ბრალდების წაყენებაზე და, ცხადია, ასეთი რამ შეიძლება (ზოგადად შეიძლება!) არსებობდეს პრაქტიკაშიო.

ამგვარი სითამამე იმითაც იყო გაპირობებული, რომ ამ ოთხეულიდან თედო ნინიძე ყველაზე მომგებიან ვითარებაში აღმოჩნდა, ვინაიდან ამჯერად უშუალოდ არ განახორციელებს სადამსჯელო ზომებს. თუმცა, სხვა ვითარებაში შეიძლებოდა მისთვის გვეკითხა, რას იქმოდა იგი 1993 წელს გენპროკურორის თანამდებობაზე ყოფნის ჟამს, როცა იმხანად ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენა მხოლოდ ახლა ხდება? რატომ იყო შესაძლებელი, რომ იმ დროს ჩადენილი მკვლელობისთვის დღეს სიკვდილმისჯილ "მაჭახელას" მაშინ გმირად რაცხავდნენ? თუ გენპროკურორის კომპეტენცია მხოლოდ უზენაესი საბჭოს წევრებზე (სხვათა შორის, მის ყოფილ კოლეგებზე) სანქციების გამოწერით შემოიფარგლებოდა, და აგებს თუ არა მაშინდელი გენპროკურორი პასუხს მოლაპარაკების დროს სანქციების გამოწერით სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებისთვის?

ეს კითხვები, ცხადია, პირდაპირ ეთერში არ დასმულა და ვერც დაისმებოდა, რამეთუ ტელესტუდიაში მისული სამიოდე ჟურნალისტის გარდა, არავინ იყო ინფორმირებული ამგვარი შეხვედრის შესახებ.

**გენპროკურორს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს აშკარად შეეშინდათ შევარდნაძის გაქცევის**

### პოლიტპატიმართა წამებისთვის არავინ დასჯილა

აწამებენ თუ არა პატიმრებს? - არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ მეტწილად ამას ბრალდებულები აცხადებენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. - გვარწმუნებს კახა თარგამაძე. კვლავ სამწუხაროდ, მას არავინ შეახსენა, რომ ამგვარი პასუხისმგებლობის აცილების შესაძლებლობა არ მიეცათ სწორედ პოლიტპატიმრებად აღიარებულ ვახტანგ გოქსაძეს, რომელიც წამების დროს გარდაიცვალა, ზურაბ წირღვავასა და ბიძინა გორელიშვილს, რომლებიც ფსიქიკურად დაავადნენ. საერთოდ, ვერც ერთმა იმ პირმა, რომელთაც საერთაშორისო ორგანიზაციები პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევენ, წამების ფაქტების გამომზეურებით ვერ აიცილა პასუხისმგებლობა: არც ერთი წამებული არ განთავისუფლებულა, არც ერთი ფაქტი ამგვარი წამებისა არ გამოძიებულა, პოლიციის არც ერთი მუშაკი ამ პირთა წამების გამო არ დასჯილა, და თუ ვინმე დაისაჯა - ალბათ, სხვათა წამებისთვის.

### სასამართლო ხელისუფლება თავის ამპლუაში

ტელეგადაცემის სამი სტუმარი აშკარად იმედით შეჰყურებდა სასამართლო ხელისუფლებას, როგორც საბოლოო ინსტანციას, რომელიც ისედაც ვალდებულია ბეჭედი დაასვას პროკურატურისა და შსს-ს მიერ ნაცოდვილარ ტომებს და ხშირად კი სისხლიც მოსწმინდოს მონათესავე უწყებებს. თვითონ მინდია უგრეხელიძე, ენაწყლიანი დემაგოგი, ჩინებულად ახერხებს კრიტიკულ სიტუაციაში დროის გაყვანას და ამჯერადაც ეს ფუნქცია იკისრა. მაგრამ, ტრადიციულად, პროკურატურისა და შსს-ს მიერ დაფრქვეულ ძვირფას სიბრძნეს სასამართლომ თავისი აბსურდიზმები დაურთო: სსკ 65-ე და 78-ე მუხლებით მსჯავრდებულ ნუგზარ მოლოდინაშვილის მთავარ დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნია მოწოდება ხელისუფლების დამხობისკენ, რაც სრულიად სხვა მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას შეადგენს და სრულიად სხვა სასჯელის ზომას ითვალისწინებს.

მსგავსი თუ სხვა იურიდიული კაზუსებით სავსეა ის საქმეები, რომელთა გასაცნობად ლამის მთელ მსოფლიოს იწვევს შევარდნაძე - მოდით და თავად ნახეთ, თუ არიან ესენი პოლიტპატიმრებიო. ჩანს, მან ეს ჩვევა გადაიღო ანზორ ბალუაშვილისგან, რომელიც აგერ უკვე ხუთი წელია ერთი და იგივე ბრალდებების გადაწერით აცდენს პროკურატურას. მისი კომპეტენტურობით დაიმედებულ შევარდნაძეს კი, რომელიც ამ ბოლო ჟამს ადამიანის უფლებათა დამცველის მანტიასაც ირგებს, თავი ქუდში ჰგონია. დისიდენტის ამპლუაში შეჭრილი, იგი ემიგრაციაში წასვლითაც კი დაემუქრა ძალოვან სტრუქტურებს, თუკი ისინი საქართველოში აღმოაჩენდნენ პოლიტპატიმრებს. შევარდნაძის გაქცევით დამფრთხალი უწყებები დაფაცურდნენ და, საერთაშორისო სამართლისა და კანონების გადამეორების გარეშე, ორიოდ დღეში გაამზადეს პასუხი - არ არიან საქართველოში პოლიტპატიმრებიო - და თავად აღმოჩნდნენ თავიანთი შეფის აგრესიული პოლიტიკის პატიმრები.

*ირაკლი დგებუაძე*

# საქართველოში გრძელდება ადამიანის უფლებათა დარღვევა

### ინტერვიუ ადვოკატ ქეთევან ბექაურთან

კორესპონდენტი: - ქ-ნო ქეთევან, რა მდგომარეობაა დღეს 29 აგვისტოს ტერაქტის საქმის გარშემო?

ქ. ბექაური: - რამდენიმე დღის წინ ე.წ. ტერორისტთა ჯგუფის ს\ს საქმის საგამომძიებლო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მაცნობა, რომ საქმის დამატებითი გამოძიების ვადა დასრულდა და მთხოვა მივსულიყავი უშიშროების სამმართველოში, რათა დამატებით გავცნობოდი საქმის მასალებს. მე კატეგორიული უარი განვუცხადე და განვუმარტე, რომ ჩემი, როგორც ამ საქმეში ბრალდებულ ონიაშვილის ადვოკატის უფლებამოსილება დასრულდა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისის ბოლოს, მოცემული საქმის წინასწარი გამოძიების დამთავრებასთან ერთად. ამას ითვალისწინებს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

კორ. - ე.ი. საქმის ძიებაში დაბრუნების შემდეგ დაცვის ხელშეკრულება თავიდან უნდა გაფორმებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებულები დაცვის გარეშე დარჩებოდნენ ამ დამატებითი გამოძიების ერთი თვის მანძილზე, რაც მათი უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს?

ქ.ბ. - დიახ, ფაქტობრივად, ერთთვიანი დამატებითი გამოძიება ჩატარდა უკანონოდ, ადვოკატების მონაწილეობის გარეშე და ამ ერთი თვის მანძილზე ბრალდებულები დარჩნენ დაცვის გარეშე, თუკი მათ უშიშროების სამსახურმა არ დაუნიშნა სასურველი ადვოკატი ან თუნდაც სახაზინო დამცველი.

კორ. - ონიაშვილისთვის რომ ახალი დამცველი დაენიშნათ, თქვენ ხომ აღარ მოგმართავდნენ?

ქ.ბ. - რასაკვირველია, არა.

კორ. - ე.ი.კანონი დაირღვა?

ქ.ბ. - დიახ, უფრო მეტსაც გეტყვით: რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, უზენაესმა სასამართლომ საქმე გამოძიებაში დააბრუნა იმ მოტივით, რომ წინასწარი ძიების პერიოდში დარღვეული იყო ერთ-ერთი ბრალდებულის დაცვის უფლება. საქმის დამატებითი გამოძიებისთვის დაინიშნა ერთთვიანი ვადა. ამ ბრალდებულს - გივი გელაშვილს, დაუნიშნეს ადვოკატი სახაზინო წესით. მას განმეორებით წარედგინა ბრალი და მის მიმართ ჩატარდა საგამოძიებო ქმედება. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოქმედება უშიშროების საგამოძიებო სამმართველოს მხრიდან, არის კანონის უხეში დარღვევა, ვინაიდან საქმე დაბრუნდა დამატებით გამოძიებაში, რაც ნიშნავს წინასწარი გამოძიების განახლებას. ეს კი გულისხმობს ყველა იმ ბრალდებულ პირთა მიმართ ახალი საგამოძიებო ქმედებების ჩატარებას, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფებიან მტკიცებულებით კავშირში, ე.ი. თავიდან უნდა მომხდარიყო მათი დაკითხვა, ბრალის წარდგენა და საქმის გაცნობაც მათ მიერ არჩეული ადვოკატების მონაწილეობით.

გარდა ზემოაღნიშნულსა, საგამოძიებო სამსახურის მიერ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ვადა, რამეთუ საქმის მონაწილენი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან 1995 წლის 30 აგვისტოდან, ანუ წელიწადისა და 4 თვის განმავლობაში.

კორ. - გამოძიება ვალდებული იყო, საქმის ძიებაში დაბრუნების შემდეგ, ავტომატურად შეეცვალა აღმკვეთი ღონისძიება თავდებობით?

ქ.ბ. - რა თქმა უნდა, დამატებით გამოძიებაში ს\ს საქმის დაბრუნების შემთხვევაში, როდესაც ამოწურულია წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ვადა, კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბრალდებული პირი დატოვებული უნდა იქნეს თავდებში, ე.ი. გათავისუფლებული უნდა იყოს პატიმრობიდან. უშიშროების სამმართველომ უგულებელყო კანონი. აღმკვეთი ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის დაყენება, საპროცესო კანონის 42-ე მუხლის თანახმად, შეუძლია ბრალდებულს - დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით.

კორ. - როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვს ამ საქმეს?

ქ.ბ. - მე არაერთხელ აღვნიშნე, რომ მოცემულ ს\ს საქმეს სასამართლო პერსპექტივა არ გააჩნია და თუკი მაინც გაბედეს მასზე სასამართლო-სამსჯავრო გამოძიების ჩატარება, ვიმეორებ, რომ უზენაეს სასამართლოში კიდევ ერთი ტენდენციური პოლიტიკური პროცესი ჩატარდება.

მინდა დავამატო - აღნიშნული ფაქტი მოცემული საქმის "გამოძიებისა" კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში გრძელდება ადამიანის უფლებათა დარღვევა და ეს არანაირად არ ესადაგება "დემოკრატიის აღმშენებელი ქვეყნის" პრინციპებს, გაეროს წევრი-ქვეყნის პრინციპებს, რამეთუ ადამიანის უფლებების დაცვა არის უმთავრესი გარანტი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა.

# პროკურატურა არ ისახავს მიზნად სიმართლის დადგენას

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს

გენერალური პროკურორის საგამომძიებლო აპარატის მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებელს, ლიპარტიას

პარლამენტის პენიტენციარული რეფორმების ქვეკომისიის თავმჯდომარეს,

ე. თევდორაძეს

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს

*ზვიად შეროზიას*

## განცხადება

1996 წლის 17 ივნისს უზენაესმა სასამართლომ, მოსამართლე ჯ. ლეონიძის თავმჯდომარეობით, არასაკმარისი მტკიცებულებების და მთელი რიგი პროცესუალური დარღვევების გამო, ს/ს საქმე #5394863 დამატებით ძიებაში დაუბრუნა რესპუბლიკის პროკურატურას. სასამართლო ძიების პერიოდში ჩვენ ვამხილეთ და მოვითხოვეთ ს/ს საქმის აღძვრა 116-ე და 195-ე მუხლებით იმ პირთა მიმართ, ვინც აწარმოა ჩვენი წამება. ესენი იყვნენ ბორის კვარაცხელია. დავით არონია, პეტრე კვარაცხელია. წამების მეთოდები იყო ველური და ბარბაროსული: ელექტროშოკის გამოყენება, ფრჩხილების დაძრობა, ცემა ხის გადანაჭრებით, სკამის ფეხებით და ა.შ. მიუხედავად ჩვენი აღიარებითი ჩვენების მიღებისა, სასამართლომ საქმე დააბრუნა ძიებაში, რადგან ჩემი ბრალი არ დადასტურდა.

სასამართლომ არ გადაწყვიტა ჩემს მიმართ აღმკვეთი ღონისძიების საკითხი. ფაქტობრივად, ოქტომბრის ბოლომდე ვიმყოფებოდი უკანონო პატიმრობაში, რის თაობაზეც განცხადებით მივმართე როგორც მ. უგრეხელიძეს, ასევე გ. კერვალიშვილს და ქ-ნ ე. თევდორაძეს.

ამის შემდეგ, ა.წ. 30 ოქტომბრიდან საქმე წარმოებაშია რესპუბლიკურ პროკურატურაში, მაგრამ წინასწარი ძიების ჩატარებისას დავრწმუნდი, რომ პროკურატურა არის ტენდენციური ორგანო და აბსოლუტურად არ ისახავს მიზნად სიმართლის დადგენას. ჩემი ვარაუდით, ჩემი დროებითი განთავისუფლება მოხდა იმის გამო, რომ მათ იურიდიულად მოიპოვონ ჩემი ხელახლა 9 თვით დაკავების კანონიერი უფლება მაშინ, როდესაც 29 თვე აბსურდული ბრალდებებით უკანონოდ ვიყავი დაკავებული.

იმისათვის, რომ საქმის მიუკერძოებელ გამოძიებაზე არ იქონიონ გავლენა იმ პირებმა, რომლებმაც "გახსნეს" ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული და ხელახლა არ მოხდეს ჩემი უკანონოდ პატიმრობაში აყვანა, სანამ განახლდებოდეს ძიება, მოვითხოვ:

1. ჩვენს წამებაში მხილებული პირები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე და ჩატარდეს მიუკერძოებელი გამოძიება.
2. გამოძიების შედეგები გახდეს საჯარო განხილვის საგანი.
3. დაცული იქნეს საერთაშორისო სამართლით გარანტირებული აპელაციის უფლება.

ზვიად შეროზია

01.12.96.

# მოგმართავთ რეპრესიების მსხვერპლნი

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს,

ბ-ნ ჯემალ ცისკარიშვილს

1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოში კიდევ ერთი სპექტაკლი დაიდგა. რომელსაც ე. შევარდნაძის მარიონეტული ხელისუფლება უწოდებს "ტერორისტულ აქტებს". ე.წ. ტერორისტული აქტები, რომლებიც იდგმება და ხორციელდება ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მიერ, მიმართული არის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და წარმოადგენს საქართველოში დღეს მიმდინარე რეპრესიების ერთგვარ ფორმას.

ჩვენ, ამ რეპრესიების მსხვერპლნი, მოგმართავთ, რომ ჩვენთვის მოყენებული ბრალდებები არის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, შეთითხნილი და შეთხზული სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ და წარმოადგენს ანგარიშსწორებას ჩვენი პოლიტიკური მრწამსის გამო.

მივმართავთ თხოვნით მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დამცავ ყველა ორგანიზაციას, ყველა კეთილი ნების ადამიანს, ხმა აღიმაღლონ ე. შევარდნაძის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ და იმ პროცესების მიმართ, რომელსაც ადგილი აქვს დღეს საქართველოში.

*თ. მამადაშვილი*

# აღიარებ, აღიარებ...

"სასტიკად მცემდნენ - "დენის აპარატი შემოიტანეთო" - იძახდნენ. რა მექნა, მკარნახობდნენ და ვწერდი", - ამბობს სამხედრო პოლიციის კრიმინალური განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე ბესო გოცირიძე. იგი პარლამენტარ დავით ზეიკიძის წინადადებით შექმნილმა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ თავისი საქმის თაობაზე მოსასმენად პარლამენტში მიიწვია. გოცირიძის მონათხრობის მიხედვით, იგი სახლში დააპატიმრეს. "შს სამინისტროდან ვართო, იძახდნენ, ჩქარა კარი გააღეთო. როცა გავაღე, შემოვარდნენ. ერთ-ერთმა თავი დამარტყა ცხვირში. სისხლი წამსკდა. დავვარდი. წაქცეული გამკოჭეს და წამიყვანეს შს სამინისტროში", - ჰყვება თავის თავგადასავალს ბესო გოცირიძე.

გოცირიძის თქმით, პოლიციაში მას მოსთხოვეს შს მინისტრის მოადგილის - გია გულუას, თბილისის პროკურორის - მიხეილ ქურდაძისა და "კანონიერი ქურდის" - ალაიანის მკვლელობის აღიარება. "ჩიქოვანმა ყურებში შემომარტყა ხელი. დავეცი, რამდენ ხანს მარტყამდა, არ მახსოვს. "თუ არ გვეტყვი, რომ ეს პირები ზეიკიძის დავალებით მოკალი, ფანჯრიდან გადაგაგდებთო, მემუქრებოდნენ."

"როცა ზეიკიძე სამმართველოს უფროსი იყო, მე მასთან ურთიერთობა არ მქონია. მეუბნებოდნენ, სანამ ზეიკიძეს არ დავიჭერთ, ვერსად წახვალო? რას ნიშნავს ეს, ვერ გავიგე. იმასაც ამბობდნენ, ზეიკიძეს ცოცხალს არ მოიყვანენ აქ, ივანოვს მოკლავენო. ცემაზე არ ვამახვილებ ყურადღებას, რაც მე მესმოდა, შსს-დან ერთი გადმოვარდა, მეორე გადმოხტა.

სამი დღე არ ავმდგარვარ, ისეთი ნაცემი ვიყავი, სველ ტილოებს მაფენდნენ. მერე მითხრეს, დაწერე, რომ ზეიკიძის დავალებით პატიმარი ზღვაზე აიყვანე და მოკალიო. თუ არ დაწერ, მოგკლავთო. ადვოკატი არ მყავდა, 7 თვე და 2 დღე ვიჯექი, მერე რაღაც დადგენილება გამომიტანეს და გამომიშვეს", - უამბო პარლამენტარებს გადატანილი გასაჭირი ყოფილმა სამართალდამცავმა.

გაზეთი "რეზონანსი" #247(663), 6 დეკემბერი, 1996 წ.

# არის თუ არა საქართველოში ანტიკონსტიტუციური სასიკვდილო განაჩენები?!

გაზეთ "რეზონანსისთვის" მიცემულ ინტერვიუში გენერალური პროკურორის მოადგილემ, ალექსანდრე შუშანაშვილმა, რომელიც კურირებს სასჯელთა აღსრულების ობიექტებს, განაცხადა, რომ "პრეზიდენტი არ დაუშვებს ანტიკონსტიტუციური სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას". ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა გენპროკურორის მოადგილე, რომელსაც ამ ორიოდ წლის წინ მთავარი სამხედრო პროკურორის პოსტი ეკავა და მოუწია მისი დატოვება, როგორც თქლიან, გაგრისა და აფხაზეთის ომის სხვა ეპიზოდების წარმატებულ გამოძიებასთან დაკავშირებით.

# ვინ ვის აფარებდა ხელს?

### გოჩა ჯიქიას მკვლელი კვლავ იძებნება, ამიტომ, შესაძლოა, დასაჯონ სხვები

საქართველოს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გრძელდება გამოძიება საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის გვარდიელების მიერ 1992 წელს ზუგდიდში გოჩა ჯიქიას მკვლელობის ფაქტის გამო. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, არის აზრი, რომ ვინაიდან მკვლელობაში ეჭვმიტანილი დღესაც იძებნება, არაა გამორიცხული სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ეროვნული გვარდიის იმ ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ, რომლებიც წლების განმავლობაში ხელს აფარებდნენ გოჩა ჯიქიას მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს იურიდიულ ნონსენსთან, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ელემენტარულ უცოდინრობაზე, რომლის თანახმად, არ შეიძლება ვინმემ აგოს პასუხი სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.

სამწუხაროდ, შსს არაფერს იტყობინება იმის შესახებ, დაისჯება თუ არა ის პირი, ვინც წლების მანძილზე ხელს აფარებდა თენგიზ კიტოვანსა და ეროვნული გვარდიის ზემოხსენებულ ხელმძღვანელ მუშაკებს.

# უზენაესი სასამართლოს გასტროლები ზუგდიდში

უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ლენგერ ბოჭორიშვილმა, ზუგდიდში განიხილა ვალერიან წყაროზიას, ვალერი ბაღათურიას, რევაზ გოგოხიას, ავთანდილ ქუხილავას, ბენო ლატარიასა და კობა ანთაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 1991-1992 წლებში წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში შეიქმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, სახელწოდებით "ჯვარი". "ჯვარს" ხელმძღვანელობდა ამჟამად მალვაში მყოფი დავით კვარაცხელია. წყაროზიას, ბაღათურიას, გოგოხიას, ქუხილავას, ლატარიასა და ანთიას ბრალად ედებათ გამსახურდიას მომხრეთა მიერ 1993 წლის 1 ნოემბრამდე განხორციელებულ ოპერაციებში მონაწილეობა.

ბრალდების მიხედვით, 1993 წლის 25 სექტემბერს ანთია, გოგოხია და ვინმე გვილავა თავს დაესხნენ წალენჯიხის შინაგან საქმეთა სოფელ ჯვარის ქვეგანყოფილებას. პოლიციელთა ჩვენებით, მათ იარაღის მუქარით გაიტაცეს პოლიციის კუთვნილი "მაკაროვის" სისტემის ორი პისტოლეტი 16 ცალი ვაზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერები

## ფელიქს შულცის და იოჰან - მიხაელ გინთერის წიგნიდან "დროის ნიშნები"

იმ მიზნით, რომ დამაჯერებლად გადმოგვეცა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, 1992 წლის აგვისტო-სექტემბერში ვიმოგზაურეთ ამ ქვეყანაში. 27 აგვისტოს ერევნიდან გავემართეთ თბილისისკენ, სადაც დავყავით 9 დღე და შევხვდით მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის წარმომადგენლებს, უბრალო ადამიანებს, ამჟამინდელი ხელისუფლების წევრებს. 5 სექტემბერს დავტოვეთ თბილისი და გროზნოსკენ გავეშურეთ. მატარებლით 4 დღიანი, თავგადასავლებით სავსე მგზავრობის შემდეგ შევხვდით საქართველოს კანონიერად არჩეულ დევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ხელისუფლებას, ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევს და სხვა კავკასიელებს. 10 სექტემბერს დავბრუნდით უკან. ქვემოთ მოყვანილი ჩვენი ჩანაწერები დაგეხმარებათ, გაერკვეთ კავკასიასა და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მომხდარ მოვლენებში.

სომხეთისა და საქართველოს საზღვარზე ჩვენ შეგვხვდნენ გაუპარსავი, მოუვლელი პოლიციელები, "კალაშნიკოვებით" შეიარაღებულ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ, პირებთან ერთად, რომლებიც უნდობლად ათვალიერებდნენ ჩვენს მანქანას. თბილისში ჩასვლამდე ხუთმა ასეთმა რეიდმა გაგვაჩერა. მათ სხვადასხვა კომბინაციებში წარმოგვიდგინეს ქართულ "წესრიგის დამცველ ძალთა" მთელი სპექტრი: დაწყებული ზემოხსენებული პოლიციით და ტანკებში ჩასაფრებული ეროვნული გვარდიელებით, დამთავრებული შავებში ჩაცმული, სარკისებური სათვალეებით აღჭურვილი რემბოს მანერებიანი ახალგაზრდებით, რომელთაც მხარზე უდარდელად ეკიდათ ავტომატები. ესენი ახალი ხელისუფლების სპეციალური ნაწილის წევრები იყვნენ. ყველაზე ცნობილ ფორმირებას "მხედრიონი" ეწოდება (ოფიციალურად კი "მაშველნი" ჰქვიათ). ამჟამად მათ ხუნტის მრავალი პარტია აფინანსებს. ისინი უმეტესად მაროდიორობენ ეროვნული გვარდიის სახელით, ანდა დამოუკიდებელ პატარა ჯგუფებად. "მხედრიონის" დამფუძნებელი და მეთაური გახლავთ ყოფილი ყაჩაღი და მკვლელი, ედუარდ შევარდნაძის დღევანდელი მარჯვენა ხელი ჯაბა იოსელიანი. ისინი აკონტროლებენ თვით პოლიციასაც.

პიკეტზე ცოტა მოშორებით დგანან და "ხუმრობით" იარაღს უმიზნებენ ჩამვლელ მანქანებს.

თბილისში ჩვენ კვლავ შევხვდებით მათ პოლიციელთა "დამცველის" როლში ფულის აკრეფის დროს. ძირითადად კი მათი უმრავლესობა მოქმედებს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ბოლო პიკეტის გავლისას ტაქსის მძღოლი გვეუბნება: "თბილისის ნახვის ბედნიერება დიდი ფული დაგიჯდებათ". მანქანაში "გერმანელი ჟურნალისტების" ყოფნამ გადაარჩინა იგი ერთ-ერთ პიკეტზე ფულის გადახდისგან.

თბილისი მშვენიერი, მთებს შორის მდებარე ქალაქია. როდესაც დიდებულ რუსთაველის პროსპექტზე გავდივართ, ვხედავთ იანვრის პუტჩის ნაშთებს. მრავლადაა სრულიად გადამწვარი სახლების მთელი კვარტლები, მძიმედაა დაზიანებული მთავრობის სასახლე. ოფიციალური ტერმინოლოგიით - ეს "ომისდროინდელი ნანგრევები" გახლავთ. "კიტოვანის გამოფენა"- ასე უწოდებს მას მოსახლეობა. თენგიზ კიტოვანი - ეროვნული გვარდიის დამფუძნებელი, იანვრის პუტჩის ერთ-ერთი თავკაცი, დღესდღეობით თავდაცვის მინისტრია. პროფესიულად იგი თავს მხატვრობაზე დებს, მაგრამ საქართველოში ჯერ არავის უნახავს ბულდოგის გამომეტყველების მქონე ამ კაცის თუნდაც ერთი მხატვრული ნამუშევარი. სწორედ ამიტომ, დაცხრილულ და გადაბუგულ მთავრობის სასახლეს და მის მიმდებარე უბანს "კიტოვანის გამოფენა" ეწოდა. "ექსპრესიონიზმის" ამ ოსტატის მეორე ექსპოზიცია - სამეგრელოა, ხოლო მესამე - აფხაზეთი.

დანგრეული მთავრობის სასახლიდან რამდენიმე ასეულ მეტრში დგას შენობა - ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, რომელშიც დღეს შევარდნაძის სახელმწიფო მოღვაწენი ბინადრობენ. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით კი აღმართულია ფარაონების დროის მოსაგონარი ბეტონის ტრიბუნა, რომელზედაც შევარდნაძე 70-80-იან წლებში სოციალიზმზე ქადაგებდა, როგორც კომუნისტური პარტიის ლიდერი. დღეს ეს დავიწყებულია.

მშვენიერი ძველი ქალაქის გავლით ვხვდებით "კოლხურ კოშკში" - პრეზიდენტ გამსახურდიას ყოფილ საცხოვრებელსა და მისი მამის, ცნობილი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას მუზეუმში. მარტში სახლს თავს დაესხნენ და ცეცხლი წაუკიდეს. წითელი აგურის სახლი ბორცვზე დგას. ჩვენ ვიმყოფებით პატარა ბაღში, სადაც ვაზი ხარობს. გარედან თითქოს ყველაფერი წესრიგშია - მხოლოდ ჩალეწილი ფანჯრები ჩანს, მაგრამ შიგნიდან სახლი სრულიად ამობუგულია. კარის წინ დამწვარი ძვირფასი წიგნების ნაშთებით სავსე დიდი ყუთები ყრია. ჩვენი თანმხლები ქართველი დაღონებით უცქერის ძველქართული ბიბლიის, იოანეს სახარების ფურცლებს, გოეთეს უიშვიათესი კრებულების ნარჩენებს. მისთვის გაუგებარია, რატომ სჩადიან ადამიანები ამას: უაზროდ და ბარბაროსულად ანადგურებენ კულტურას. კოლხური კოშკი - თბილისის სოციალური მდგომარეობის თვალსაჩინო, ზუსტი სურათია: ამ ნგრევის, ძალადობისა და შიშის საკუთარი თვალით მნახველიც კი ვერ აცნობიერებს ამას. უკვე აგვისტოში ცნობილი გახდა ჩვენთან, დასავლეთში, რომ საგანგებო მდგომარეობის ვადა გაგრძელებულია, რაც არჩევნების გადადებისთვის კარგი მიზეზი გახლდათ. თუმცა აღარ იყო კომენდანტის საათი, მაგრამ ღამე ნებაყოფლობით ქუჩებში არავინ დადიოდა, რადგან იქ, სადაც დღისით შეუიარაღებელ ფორმიანებს ნახავთ, ღამით "მხედრიონი" და სხვა შეიარაღებული ბანდები ჩნდებიან. მათი იერი, გარეგნობა, ქცევა ძალადობასა და თვითნებობას გამოხატავს. ღამ-ღამობით ავტომატების ხმა გვესმის, ერთხელ მათ ჩვენი ფანჯრების წინ ვიღაცას სროლა აუტეხეს. თბილისში დღეს უამრავი შეიარაღებული ბანდა თარეშობს, რომლებიც, თუმცა ერთმანეთსაც ებრძვიან, მაგრამ მაინც ყველა ერთად - ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენს. შემდგომ დღეებში მრავალი თავგადასავლის და ხალხთან საუბრის შედეგად ვიგებთ, თუ როგორი შიშითაა მოცული ეს ქვეყანა. ჩვენს ცნობიერებაში მძაფრად უპირისპირდება ერთმანეთს ეს შთაბეჭდილება და ის ფასადი, რომელსაც რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ახალგაზრდობა ქმნის. როგორც აგვიხსნეს, ამ ქვეყანაში ეროვნულ თავისებურებებს განეკუთვნება სიამაყის გრძნობა, რომლის წყალობით, ადამიანები ცდილობენ, არ შეიმჩნიონ გაჭირვება და შიში.

### საერთაშორისო-ურთიერთობები

"თავისუფალმა დემოკრატიულმა დასავლეთმა" ყველას იმედი გაუცრუა საქართველოში. "ჩვენ მთელმა მსოფლიომ ბედის ანაბარა მიგვატოვა". - გვეუბნებიან და მაგალითად მოჰყავთ ორი ვიზიტი: აპრილში ჰანს დიტრიხ გენშერმა გამოიყენა თანამდებობაზე ყოფნის ბოლო დღეები, რათა დემონსტრაციულად დახმარებოდა თავის "ძველ მეგობარს", შევარდნაძეს. იმ დროს, როცა გენშერი პრესკონფერენციაზე ირწმუნებოდა, რომ ხუნტამ ქვეყანა დემოკრატიზაციის გზაზე დააყენაო, სასტუმროს წინ ხელკეტებით დაარბიეს სტუდენტური დემონსტრაცია და მყისვე დააპატიმრეს ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომელსაც გერმანელი სტუმრისთვის საპროტესტო ნოტის გადაცემა სურდა.

მაისში შევარდნაძეს ეწვია მისი კოლეგა ჯეიმს ბეიკერი. თავის საჯარო გამოსვლა მან დაამთავრა სიტყვებით: "ჩემი აზრით, ეს ქვეყანა დგას დემოკრატიის გზაზე". გამოსვლა გადაიცემოდა გამაძლიერებლებით, რათა გადაეფარათ სროლის ხმა - ამ დროს, იქვე ახლოს, ხუნტის ბანდები 10 ათასიან საპროტესტო დემონსტრაციას არბევდნენ.

აი, ერთი ხატოვანი გამოთქმა: "თუ ის, რასაც შევარდნაძე ამჟამად აკეთებს საქართველოში დემოკრატიაა, მაშინ დაგვიბრუნეთ, გეთაყვა, ბოლშევიზმი". პუტჩისტების მხარდაჭერა ძირითადად სწორედ იმ ორი ერისგან მომდინარეობდა, რომელთაგან ქართველები ყველაზე მეტად ელოდნენ დახმარებას.

- ბევრი ქართველისთვის გერმანია - ევროპული კულტურის განსახიერებაა: დაწყებული ჰეგელითა და ჰაიდეგერით დამთავრებული. საქართველოში აღტაცებული იყვნენ გერმანული სულით, ქართულად თარგმნილია ნოვალისის "ღამის ჰიმნები", არის წრეები, სადაც კარგად იცნობენ გერმანულ იდეალიზმს. "კავკასიის ცენტრალური ევროპა" იმედით შესცქეროდა კავშირს გერმანიასთან, მაგრამ აღმოაჩინა, რომ პასუხად მხოლოდ "გაერთიანებული რესპუბლიკური" გენშერიზმის ცივი პოლიტიკა მიიღო, თითქოს ხსენებაშიც კი არ ყოფილიყოს კულტურული გერმანელი ერი.

ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიისა და თავისუფლების განსახიერება იყო საბჭოთა კავშირის დროს. აქ ფიქრობდნენ, რომ რკინის ფარდის მიღმა აშშ მართლაცდა მთელი ძალებით მუშაობდა ტოტალიტარულ[illegible]გურების მიზნით. თუმცა, საბჭოთა დისიდენტებისთვის რეალობა უფრო შეულამაზებლად ჩანდა. რეიგანის სიტყვებს "ბოროტების სამფლობელოს" შესახებ დასავლეთში დასცინოდნენ, როგორც მსახიობის პათოსს, ხოლო აღმოსავლეთში კი ეს სიტყვები დიდი იმედით აიტაცეს. მაგრამ აშშ-ს შემდგომმა პოლიტიკამ დაამტკიცა (და, სამწუხაროდ, დღემდე ასეა), რომ დასავლეთს არცთუ თავისუფალი, მაგრამ ადვილად კონტროლირებადი და მართვადი აღმოსავლეთი ურჩევნია პარტნიორად. სწორედ ამიტომ დაუშვეს მათ, რომ ძველი საბჭოთა სტრუქტურები შენარჩუნებულიყო ახალი ეტიკეტით: "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა".

მოგვიანებით გროზნოში ბესარიონ გუგუშვილმა, საქართველოს დევნილმა პრემიერ-მინისტრმა, მოგვითხრო ჯ. ბეიკერთან ერთ-ერთი საუბრის შესახებ: "გარკვეულწილად დასავლეთი კიდევ უფრო კოლექტივისტურად მოქმედებს, ვიდრე ძველი კომუნისტები. როდესაც ბეიკერს შევხვდი 11 ახალი რესპუბლიკის ყველა პრემიერ-მინისტრთან ერთად (...) იგი ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ცკ-ს გენერალური მდივანი. (...) სწორედ იქ აგვიხსნა მან, რომ არც ერთ რესპუბლიკას არ უნდა ჰქონდეს ამერიკის დახმარების იმედი, თუკი იგი თანამეგობრობაში არ შევა; თვით ჰუმანიტარულ დახმარებასაც კი არ უნდა ელოდეს - ეს მან პირდაპირ განაცხადა. მე ვუპასუხე, რომ ჩვენი მთავარი მიზანი დამოუკიდებლობაა, რომ ჩვენი ხელისუფლება იბრძვის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისთვის და არა ამგვარი კოლექტიური "კოლხოზურობისთვის". ამაზე მან არაფერი მიპასუხა".

შემდგომ ამისა, გამსახურდიას ხელისუფლება იგნორირებულ იქნა ინტერნაციონალურად, წლის ბოლოს მოხდა პუტჩი და შევარდნაძეს მიესალმნენ, როგორც "საქართველოს მშველელს". საუბარში ჩვენმა მასპინძელმა გულდაწყვეტით გვითხრა: "საქართველოში დავრწმუნდით, რომ მთელს მსოფლიოში არ არსებობს ჭეშმარიტი დემოკრატიაო".



ეროვნული ბიბლიოთეკა

United Nations

# საჩივრების განხილვის პროცედურა გაეროში

ყველას აქვს უფლება, მიაპყროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, ზოგადად ან კონკრეტულად, რომელიმე ქვეყანაში. ჯერ კიდევ თავის პირველ სესიაზე 1947 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ დააყენა საკითხი, შესწავლილიყო მოქალაქეთა პირადი შეტყობინებები მათი უფლებების დარღვევის თაობაზე. 1967 წელს გაეროს ხელმძღვანელობამ დაავალა ადამიანის უფლებათა კომისიას "ყველა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში და სისტემატური დარღვევების შესახებ ინფორმაციის ზედმიწევნით შესწავლა..." ეს ნიშნავდა ამა თუ იმ ქვეყანაში გარკვეული სიტუაციის შესწავლას ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით.

**1976 წელს კი ძალაში შევიდა ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, რომლის თანახმადაც, გაეროს კომისიამ დაიწყო ადამიანის უფლებათა დარღვევის კერძო შემთხვევების განხილვა.**

შეტყობინება ამა თუ იმ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, პროცედურის თანახმად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაეროს წესდების პრინციპებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს ადამიანის უფლებათა შესახებ.

შეტყობინება-საჩივარი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევების სისტემატურ, უხეშ და დამაჯერებლად დადასტურებულ ფაქტებს. შეტყობინების ავტორი შეიძლება იყოს ერთი პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც უშუალო ინფორმაცია აქვს გარკვეულ დარღვევებზე. შესაძლებელია, საჩივრის ავტორი იყოს მოცემული ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ ის უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე და უნდა ფლობდეს უშუალო მტკიცებულებებს სიტუაციის გარშემო, რომლის შესახებაც იტყობინება.

მიუღებელია ანონიმური ან ისეთი შეტყობინებები, რომლებიც ემყარება მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ მასალას.

ყოველი შეტყობინება უნდა შეიცავდეს: ფაქტობრივ მასალას - ფაქტების გადმოცემას, აღნიშნული პეტიციის მიზანს და იმ პუნქტებს, რომელიც დაირღვა.

შეტყობინება არ განიხილება, თუკი ის შეიცავს შეურაცხმყოფელ გამოთქმებს სახელმწიფოს მიმართ, რომელიც საჩივრის ობიექტად არის მიჩნეული.

შეტყობინების განხილვისთვის აუცილებელია, რომ ამოწურული იყოს ყველა შინაური სამართლებრივი საშუალება. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები არაეფექტური აღმოჩნდა ან ძალიან ნელა ხორციელდებოდა.

შეტყობინება ეგზავნება გაერო-ს ადამიანის უფლებათა ცენტრს, იქიდან - სპეციალურ სამუშაო ჯგუფს. ამ ჯგუფის მიერ მასალების შესწავლის შემდეგ, შესაბამის კომისიას.

შეტყობინებების პროცედურის დადგენის შემდეგ, გაერო-მ წესად გაიხადა აქტიური თანამშრომლობა ქვეყნებთან, რომლებიც სარჩელის ობიექტს წარმოადგენენ. ადამიანის უფლებათა კომისია თავისი მუშაობის პერიოდში პირდაპირ კონტაქტებს ამყარებს იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან, რომელიც, როგორც საჩივრის ავტორი ამტკიცებს, არღვევს ადამიანის უფლებებს. ამ კონტაქტებს ახორციელებს გაერო-ს გენერალური მდივანი, მისი სპეციალური წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ექსპერტები, რომელთაც ნიშნავს კომისია და რომლის წინაშეც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან. კომისია იღებს საჩივრის ობიექტად ქცეული ქვეყნის ხელისუფლებისგან განმარტებებს და შესაბამის კომენტარს ამა თუ იმ დარღვევასთან დაკავშირებით. კომისია წერილობით შეკითხვებს უგზავნის ქვეყნის ხელისუფლებას. ხუთკაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ნიშნავს კომისია და რომელიც ამგვარ კონტაქტებს ამყარებს, უგზავნის შეტყობინებებს, რეკომენდაციებს ქვეყნის ხელისუფლებას. საჩივრის ობიექტად ქცეული ქვეყნის წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ კომისიის სხდომებზე გადაწყვეტილებების მიღებასა და განხილვას.

ყველა ზომები, რომლებსაც ამ პროცედურის შესაბამისად ახორციელებს კომისია და მისი სამუშაო ჯგუფები, კონფიდენციალური ხასიათისაა. სანამ კომისია ხელმძღვანელობას წარუდგენს ანგარიშს, ყველა პროცედურა, სხდომები თუ შეკრებები დახურულად იმართება.

1978 წლიდან ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ღია სხდომაზე აქვეყნებს იმ სახელმწიფოს დასახელებას, რომელიც წარმოადგენს მისი განხილვის ობიექტს.

ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.

**ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანოს საჩივარი ხელისუფლებაზე, რომელიც არღვევს მის უფლებებს**

**პაქტისა და ოქმის მონაწილე ქვეყანა მოვალეა ცნოს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომპეტენცია, ე.ი. ორგანო, რომელიც შედგება 18 ექსპერტისგან და ატარებს წელიწადში სამ სხდომას, განიხილავს, შეისწავლის და გამოიკვლევს ცალკეულ პირთა შეტყობინება-საჩივრებს.**

შეტყობინება-საჩივრის განხილვისთვის აუცილებელია, რომ ის:

- არ იყოს ანონიმური;
- საჩივრის ავტორი უნდა იყოს საჩივრის ობიექტის - ქვეყნის, იურისდიქციის ქვეშ;
- ქვეყანა, რომელსაც უჩივიან, უნდა იყოს ფაკულტატური ოქმის მონაწილე.

ჩვეულებრივ, საჩივარს აგზავნის პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ საერათაშორისო პაქტით გათვალისწინებული მისი უფლებები დაარღვია მოცემულმა ქვეყანამ. როცა დარღვევათა მსხვერპლს, გარკვეული მიზეზების გამო, არ შეუძლია საჩივრის შემოტანა, კომიტეტს შეუძლია განიხილოს იმ პირის საჩივარი, რომელიც წარმოადგენს დამაჯერებელ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ უფლებამოსილია იმოქმედოს მსხვერპლის სახელით.

საჩივარი მისაღებია:

- თუკი ის ეთანხმება საერთაშორისო პაქტის პუნქტებს;
- თუკი ის არ განიხილება სხვა საერთაშორისო განხილვის პროცედურის შესაბამისად.

სანამ საჩივარი კომიტეტის განხილვის საგნად იქცევა, აუცილებელია ამოწურული იყოს სამართლებრივი დაცვის ყველა შინაური მექანიზმი.

სანამ კომიტეტი განიხილავს საკითხს, მისაღებია თუ არა საჩივარი, მის სამუშაო ჯგუფს შეუძლია მოსალოდნელ მსხვერპლს ან შესაბამის სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი წერილობითი ინფორმაციის წარმოდგენა გარკვეულ ვადებში. თუ სახელმწიფო უპასუხებს სამუშაო ჯგუფის შეკითხვას, საჩივრის ავტორს ეგზავნება ამ პასუხების ასლი, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაურთოს კომენტარი ან გამოთქვას შენიშვნები მის შესახებ.

კომიტეტს შეუძლია შეწყვიტოს საჩივრის განხილვა, თუ ავტორი იტყობინება, რომ აღარ სურს საჩივრის განხილვის გაგრძელება.

როგორც კი საჩივარი იცნობა მისაღებად, კომიტეტი შესაბამის ქვეყანას უგზავნის წერილობით თხოვნას, ახსნა-განმარტება მიეცეს საჩივარს.და აღინიშნოს, რა ზომები განახორციელა ამ ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა აღნიშნული პრობლემის მოსაწესრიგებლად. პასუხისთვის სახელმწიფოებს ეძლევათ ვადა არა უმეტეს ექვსი თვისა. შემდეგ კომიტეტი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს, რომელთაც ატყობინებს ავტორსა და სახელმწიფოს.

ამ პროცედურის მანძილზე ცალკეული პირები - შეტყობინების ავტორები, და სახელმწიფოები, რომელთაც დაარღვიეს მათი უფლებები, თანასწორ პირობებში იმყოფებიან. ორივე მხარეს ერთნაირად შეუძლია თავისი არგუმენტებისა და შენიშვნების წარდგენა მეორე მხარის არგუმენტების გასაბათილებლად.

იმ დროის განმავლობაში, რომელიც კომიტეტს სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად, შესაძლებელია, შეტყობინების ავტორი საჭიროებდეს დაცვას. გარკვეულ შემთხვევებში კომიტეტი იძულებულია, საბოლოო განხილვისა და დასკვნის მიღებამდე, შეატყობინოს ქვეყანას, რომ იხილავს მისი მოქალაქის საჩივარს. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელია, კომიტეტი იჩენს ინტერესს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ და სთხოვს სახელმწიფოს ამა თუ იმ კომპეტენტურ სამედიცინო სამსახურს აღნიშნული პირის შემოწმებას და სამედიცინო დასკვნას.

**ამას გარდა, კომიტეტი სთხოვს სახელმწიფოს, სისრულეში არ მოიყვანოს სასიკვდილო განაჩენი, სანამ ის განიხილავს სიკვდილმისჯილის საჩივარს.**

კომიტეტი ვალდებულია განიხილოს მთელი წერილობითი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგინეს საჩივრის ავტორებმა.

საჩივრის განხილვის პერიოდში მთელი ინფორმაცია კონფიდენციალურია, ხოლო კომიტეტის დასკვნები შეტყობინებების შესახებ, მისაღებია ისინი თუ მიუღებელი, ღიად ცხადდება.

განსხვავება ფაკულტატური ოქმის საფუძველზე განსახილველ საჩივარსა და სხვა პროცედურის შესაბამისად გაგზავნილ შეტყობინებათა განხილვის მექანიზმებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია:

- ფაკულტატური ოქმის მიხედვით განხილვადი საჩივრები კერძო ხასიათისაა და ეხება მხოლოდ გარკვეული პიროვნების უფლებების დარღვევას. სხვა პროცედურის შესაბამისად გაგზავნილი საჩივარი ეხება ქვეყანაში არსებულ გარკვეულ სიტუაციებს;
- ფაკულტატური ოქმის პროცედურა ავალდებულებს მის ხელმომწერ ქვეყნებს, მიიღონ ზემოაღწერილი, მათ წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული პროცედურა. მაშინ, როდესაც სხვა პროცედურების ამოქმედებისთვის საჭიროა სახელმწიფოების ნებაყოფლობითი თანამშრომლობა.
- ფაკულტატური ოქმის პროცედურის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც შეუერთდნენ ამ პაქტსა და ოქმს. მაშინ, როცა სხვა პროცედურები შეიძლება შეეხოს ნებისმიერ ქვეყანას.
- ფაკულტატური ოქმის პროცედურა ეხება მხოლოდ იმ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, რომლებსაც შეიცავს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მაშინ, როდესაც სხვა პროცედურა ითვალისწინებს ადამიანის ყველა უფლებასა და თავისუფლებას.
- ფაკულტატური ოქმის პროცედურის თანახმად, საჩივარი შეუძლია შემოიტანოს მოსალოდნელმა მსხვერპლმა ან მისმა წარმომადგენელმა. მაშინ, როდესაც სხვა პროცედურის საფუძველზე საჩივარი შეიძლება შემოიტანოს ნებისმიერმა პირმა, პირთა ჯგუფმა ან არასამთავრობო ორგანიზაციამ, თუ მათ გააჩნიათ უშუალო მონაცემები გარკვეულ დარღვევათა შესახებ.
- ფაკულტატური ოქმის პროცედურის საფუძველზე საჩივრის შემომტან პირს სრულუფლებიანი სტატუსი აქვს. მას ატყობინებენ ყველა იმ ზომების შესახებ, რომელსაც ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ან მისი სამუშაო ჯგუფი. ინფორმაცია მიეწოდება დაინტერესებულ სახელმწიფოსაც, ავტორს შესაძლებლობა ეძლევა, გასცეს პასუხი ან კომენტარი დაურთოს ზემოაღნიშნული სახელმწიფოს ნებისმიერ შენიშვნას. მაშინ, როდესაც სხვა პროცედურის საფუძველზე შემოტანილი შეტყობინების ავტორი არ იღებს მონაწილეობას აღნიშნული საჩივრის განხილვის არც ერთ სტადიაზე. კომიტეტი არ აცნობებს აღნიშნული საჩივრის ავტორებს თავისი გადაწყვეტილებების შესახებ, მხოლოდ ატყობინებს, რომ შეტყობინება მიღებულია და ასლები დაგზავნილია შესაბამის ქვეყნებში, ხოლო გადაწყვეტილებები გადაეგზავნება შესაბამის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს.

TAVISUPALI SAKARTVELO

N 45 in brief

17 - 23 December , 1996

# You Will Confess Whether you Wish it or not...

"I was unmercifully beaten' they were shouting "Bring in the device for electric current'. What could I do? They were dictating and I was writing" , says the former deputy head of Police Criminal Department Mr. Beso Gotsiridze. He was invited to the Parliament to be heard at the Temporary Investigation Commission under the demand of the member of Parliament Mr. David Zeikidze. According to Gotsiridze: " I was arrested at home by people who claimed they were from the Ministry of Internal Affairs. They demanded from me to open the door. When I did so, they entered the flat, one of them hit me in the nose. I had a sever bleeding from the nose and fell down. They put handcuffs on me and took me to the Ministry of Internal Affairs". As Mr. Gotsiridze told at the police they demanded from him to confess in murdering the Deputy Minister of Internal Affairs Mr. Gia Gulua, Prosecutor of Tbilisi Mr. Mikheil Kurdadze and "Thief in Law" Mr. Agajan. "Chikovani clapped hands on my years. I fell down. How long he continued to beat me I do not remember. "If you do not confess that you have murdered these people under the orders of Zeikidze, we shall throw you over the window.' , threatened they.

When Zeikidze was the head of the Department I never had any contacts with him. They told me that until they had arrested Zeikidze I would have stay in jail. I could not understand what all this mean. They also used to say that Zeikidze as well as Ivanov would be brought there only dead. I tried not to pay attention to beating. I heard that one man was thrown out of the window the other jumped out himself from the Ministry of Internal Affairs.

For three days I could not stand up. I was beaten to such extent that they used to put wet cloth on me. Then I was told to write that under Zeikidze's order I took a prisoner to Tbilisi Sea and killed him. They threatened me that had I refused to write so they would kill me. I did not have a lawyer, for 7 months and 2 days I was under the arrest. Then some decision was made and I was released.", told the former representative of the Law and Order to the members of the Parliament.

**"Rezonansi" newspaper, #247(663) December 6, 1996**

# The Condition of Mr. Avtandil Rtskhiladze Remains Unclear

The Human Rights Commission of Georgian Helsinki Union distributed the statement about the present condition of the member of the Supreme Council of Georgia, Deputy Chairman of Human Rights Permanent Commission of Supreme Council of Georgia.

The statement reads that his persecution continues, his human rights are roughly violated and presently he even is refused in receiving his passport. The formal excuse of this provided by the Republican Prosecutor's Office, namely, by deputy Prosecutor General Mr. Anzor Baluashvili is the fact that the Case of Mr. Rtskhiladze was separated from the Case of Mr. Kobalia, Molodinashvili, Bokuchava, Dzidziguri and others, that he was released under the given written undertaking not to leave the place and hence he would nor receive the passport.

The Human Rights Commission of Helsinki Union considers such motivation as violation of the Law and restriction of Mr. Rtskhiladze's rights, since his Case is not closed. And even though the investigation is actually over the Case was not passed to the Court for Hearing while the charges still remain in effect. The Commission believes that the deputy of the Supreme Council from Helsinki Union Mr. Avtandil Rtskhiladze is factually under house arrest and is exposed to continuous psychological pressure from the Prosecutor's Office.

"Mr. Avtandil Rtskhiladze was detained with rough violation of Law on May 18, 1994 in his own flat by 15 policemen armed with sub-machine guns who had never presented either detainment or search warranty" - reads the statement of the Commission - "He was placed in the isolator of the Ministry of Internal Affairs and charged with crimes envisaged by Articles 65, 78 and 73 of Criminal Code. Preliminary investigation was over in August. The investigation failed to find the fact confirming the guilt of the political prisoner, he was not confronted with anybody. Only the wife of Avtandil Rtskhiladze Mrs. Marine Chelidze, was interrogated as a witness. On January 12, 1995 after 8 months of imprisonment Mr. Avtandil Rtskhiladze was released under written undertaking not to leave the place. He was warned that if he would be noticed to attend any rally, in the places of meeting of people or if he had not cease any political activities he would be arrested again. At he same time it became known to Commission that information center of the Ministry of Internal Affairs nearly for two years was not informed about the fact that Mr. Avtandil Rtskhiladze was released while in the documents concerning him he was mentioned as being under arrest. It seems this corresponds to truth, since it is very difficult to qualify the state of complete lawlessness as freedom.

# Double Standards are in Action in Georgia

The World Human Rights Organizations are publishing many documents about brutal tortures of prisoners and suspects in Georgia. In each individual case these organizations demand to put to trial and punish those who had been proved to torture people. The number of cases when officials proved to participate in torturing people were put to trial are very few if any, though such precedents still exist in criminal cases. As an example can serve a well-known case of inhuman torturing of the several suspects who were charged with accusation of murdering Mrs. Chovelidze. This Case is now being heard at Isani District Court.

Recently in the press appeared another information concerning one more famous case, which has also been sent to the Court for hearing. The Case was prepared by the investigation apparatus of Tbilisi Prosecutor's Office (investigator Japaridze). On August 4, 1996 the officers of the first subdivision of Internal Affairs of Mtatsminda District Mr. Zurashvili, Mr. Gochashvili and Mr. Aptsiauri arrested Mr. Gia Abkhazava, the brother of Mr. Mamuka Abkhazava, who had been suspected in committing criminal assault. The arrest was made under the pretense of necessity to interrogate Mr. Gia Abkhazava to find out whereabouts of his brother.

According to the indictment deputy head of the subdivision Mr. Zurashvili demanded from Mr. Abkhazava's brother to confess in participation with his brother in criminal assault. Mr. Gia Abkhazava refused to give such testimony. Interrogation of Mr. Gia Abkhazava continued during the whole night. He was threatened that if he had refused to confess in complicity in committing the crime, they would have raped his mother and wife in his presence. The prisoner's documents and car keys were confiscated. His car was searched and as a result some bullets were "found" in it. After being severely beaten Mr. Gia Abkhazava was forced to sign the Search Protocol and confess that the bullets belonged to him.

At midnight the interrogation of the prisoner was resumed. In the room of the deputy head of the subdivision Mr. Zurashvili was put on a gas-mask the oxygen pipe of which was tied up. He was then tied to the door of the safe and beaten on the soles of his feet by a bamboo stick. Abkhazava failed to endure the torture and confessed his "guilt".

After this interrogation Mr. Abkhazava was hospitalized. In relation to the fact of his illegal detainment and torturing the Staff Inspection of the Ministry of Internal Affairs made an adequate conclusion which served as a basis for bringing charges against the policeman. It is noteworthy, that both cases concerning torturing of the prisoners which reached the stage of Court Hearing concerned the criminal cases. In Georgia not a single fact of tortures that were related to the political trials has ever been investigated. Irrespective of the fact that since 1993 at all political trials the political prisoners mentioned the facts of their torturing, the names of the torturers and their positions. Furthermore, even such sensational and recognized case as the fact of inhuman torturing of the political prisoner Mr. Zaza Tsiklauri about which the public learned directly from the head of Security Department. All this testifies to the fact that in Georgia double standards are in action and if the authorities under the pressure of international human rights organizations are induced in exceptional cases at least formally to observe juridical norms envisaged by international standards, they become adamant when the question concerns the case of political prisoners.

# President's Mercy

Recently the newspapers basing on the information supplied by the "BGI" agency published information saying that under the order of the President of Georgia the former governor of Khobi Mr. Merab Gergaia was released from the necessity to serve his 5 year term in jail. The former head of Khobi administration was charged with the illegal wearing of the weapons. The decision of the President of Georgia about his release was motivated by the fact that Mr. Gergaia was fighting for the territorial integrity of Georgia and presently is seriously ill.

It is exactly that Merab Gergaia during the rule of whom in Khobi was murdered the physician Ezope Sichinava and the artist Vakhtang Nodia died as a result of the inhuman tortures. According to the residents of Khobi Mr. Tengiz Bulia (nicknamed as Kiroki) was unmercifully tortured with direct participation of Mr. Gergaia (his calves were pierced with spokes, after which pieces of flesh were cut off by the knife the open wounds being abundantly sprinkled with salt. In 1992 under his direct order the corpse of the murdered prefect Mr. Kajaia was dug out from his grave and was subjected to violence. He demonstrated exceptional brutality in 1993 in Khobi similar to that he had shown earlier in Tsalenjikha. His brutality was manifested not only by numerous murders, but also by violence he had subjected the corpses to. Thus for example, the killed members of the lawful National Guards were thrown into the mud at the bank of Khobistskali River.

It seems these very atrocities are attributed to as special merits especially considering the fact that participation of the victim of the governor Mr. Tengiz Bulia in Abkhazian war which was more than once confirmed at the ongoing Court Hearing by the official testimonies of the witnesses did not to the slightest extent lessen the severity of punishment for his companions-in-arms (Gurgen Malania, Gabriel Bendeliani, Karlo Jichonaia and Murtaz Gulua who were sentenced to 13-15 years of imprisonment irrespective of the fact that the Court sent the majority of charges they have been incriminated to, to the renewed investigation). For the fact of murdering Mr. Tengiz Bulia as well as of Mr. Vakhtang Nodia and Ezope Sichinava was not appointed even preliminary investigation.

As for the "serious illness" which served as the basis for mercy this motive sounds especially cynical considering the fact that the lives of tens of absolutely innocent political prisoners are seriously endangered by tuberculosis they suffer from and/or by the unbearable conditions of imprisonment. It seems, for the leader of the nation the price of the life of the prisoner is different for different prisoners. Some time ago Mr. Shevardnadze declared that if the Court sentenced Mr. Jaba Ioseliani to death he would have used his right implying pardon which is not surprising since it was only natural for him to spare his right hand and old friend. What is really surprising that the executors like Gergaia could have ever enjoyed the same mild attitude of the President. However the former head of Khobi administration obviously was well aware of his privileged status. His behavior at the Court hearing was most defiant. He commanded to remove the journalists from the Court Hall and actually it was he who was leading that Court Hearing. It seems our imagination failed to adequately estimate the "contribution" of Gergaia and the like to their motherland and democracy and proved to be unable to consider the strength of the links relating the higher echelons of the actual authorities with the lowest structures of "Mkhedrioni".

It is likely that 5 year imprisonment (the maximal term of imprisonment) which the present day authorities legalized for the members of "Mkhedrioni" proves to be real only for small fries and particularly unfortunate "boys", that is for those who were charged with the theft of hens, wine and wheat flour only.

*S. Guramishvili*

მთავარი რედაქტორი
Editor in Chief

თამარ ებრალიძე
TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი # 227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia